



FAIR AND EFFECTIVE CRIMINAL JUSTICE

Amman | Bishkek | Kampala | London | Nur-Sultan | Tbilisi | The Hague

# COVID-19-ის პანდემიის ზეგავლენა საქართველოში პრობაციის გამოყენების, აღსრულებისა და მოხდის პრაქტიკაზე

ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ მადლობას უხდის პრობაციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს თანამშრომლობისათვის, ინტერვიუს რესპონდენტებს კვლევაში მონაწილეობისათვის. ასევე გვინდა მადლიერება გამოვხატოთ ორგანიზაციების - ასოციაცია „ქალი და ბიზნესის“ და „საქართველოს პროფესიონალ ფსიქოლოგთა ასოციაციის“ მიმართ პარტნიორობისა და გამოკითხვების ჩატარებაში გაწეული დახმარებისთვის.

წინამდებარე ანგარიში მომზადდა International Penal and Penitentiary Foundation (IPPF)-ის ფინანსური მხარდაჭერით პროექტის „გათავისუფლების შემდგომი მხარდაჭერისა და პატიმრობის ალტერნატივების განხორციელებასა და მართვაში არსებული ხარვეზების გამოსწორება COVID-19-ის გლობალური პანდემიის განმავლობაში“ ფარგლებში. IPPF-ის მიზანია უზრუნველყოს, რომ სისხლის სამართლის სისტემები სამართლიანად და ეფექტურად უმკლავდებოდეს COVID-19-ის გავლენას მსჯავრდებულებზე, რომლებიც საპატიმრო ან არასაპატიმრო სასჯელებს იხდიან.



### Penal Reform International report

საკონტაქტო პირი ორგანიზაციაში „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ (PRI):

ტანია დეჟანოვა, პროექტის „პატიმრობის ალტერნატივები ევროპაში“ კოორდინატორი  
tdejanova@penalreform.org

ცირა ჭანტურია, რეგიონული დირექტორი, ორგანიზაციის „ციხის საერთაშორისო რეფორმა“  
წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში  
tchanturia@penalreform.org

Twitter: @penalReformInt  
Facebook: @penalreforminternational  
[www.penalreform.org](http://www.penalreform.org)

პირველად გამოქვეყნდა 2022 წლის იანვარში  
© Penal Reform International 2022

## სარჩევი

აბრევიატურები.....	5
<b>შესავალი .....</b>	<b>6</b>
<b>პროექტის შესახებ.....</b>	<b>9</b>
<b>კვლევის მეთოდოლოგია.....</b>	<b>10</b>
გამოკითხულ რესპონდენტთა სია: .....	11
კვლევის შეზღუდვები.....	11
<b>პრობაციის სამსახური და პატიმრობის ალტერნატივები .....</b>	<b>13</b>
პრობაციის ეროვნული სააგენტო და მისი ბიუროები .....	13
არასაპატიმრო სასჯელები და პრობაცია.....	16
<b>COVID-19-ის პანდემიის გავლენა .....</b>	<b>19</b>
ზოგადი მიმოხილვა .....	19
პატიმრობის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება .....	20
ვადამდე გათავისუფლების მექანიზმები (პირობით ვადამდე გათავისუფლება, სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა) და პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვება .....	21
პანდემიის გავლენა პრობაციის ეროვნული სააგენტოს და მისი ბიუროების მუშაობაზე და სერვისების მიწოდებაზე .....	24
COVID-19-ზე რეაგირებისა და გავრცელების შესაჩერებლად მიღებული ზომები .....	24
ადაპტაციისთვის საჭირო დრო და ძალისხმევა.....	26
კრიზის-მენეჯმენტი.....	27
პანდემიის ზეგავლენა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულებაზე .....	28
პანდემიის გავლენა პრობაციის პერსონალზე და მათ კეთილდღეობაზე .....	30
პირადი დაცვის საშუალებების მიწოდება პერსონალისთვის .....	32
დისტანციურ მუშაობაზე გადასვლასთან დაკავშირებული გამოწვევები.....	32
COVID-19 ზეგავლენა პერსონალის დატვირთვაზე/საქმეების რაოდენობაზე.....	33
პანდემიის ზეგავლენა პრობაციის საზედამხებველო ფუნქციის განხორციელებაზე და სამუშაოს სხვა ასპექტებზე .....	34
საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეზღუდვის ზეგავლენა პრობაციის პერსონალზე .....	35
პერსონალის მიმართ მენეჯმენტის მხარდაჭერა პანდემიის დროს .....	35
ბენეფიციარების მიერ საჭირო სერვისებზე წვდომა .....	36
გარე სერვისების ხელმისაწვდომობა .....	37
პანდემიის ზეგავლენა პრობაციაში აღრიცხულ მსჯავრდებულებზე.....	37
პირობით მსჯავრდებულთა ან ციხიდან გათავისუფლებულთათვის სერვისები და მხარდაჭერა .....	37
სერვისები და დახმარების პროგრამები, რომლებზეც პანდემიამ იმოქმედა .....	39

საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეზღუდვის ზეგავლენა პრობაციის ბენეფიციარებზე .....	40
ბენეფიციართა შეზღუდვები COVID-19-ის საპასუხოდ გატარებულ ღონისძიებებზე .....	40
ბენეფიციარი ჯგუფები, რომლებზეც განსაკუთრებით იმოქმედა პანდემიამ .....	42
ცვლილებისადმი ბენეფიციარების დამოკიდებულება .....	43
პანდემიის ზეგავლენა არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებაზე მომავალში .....	43
<b>დასკვნები და მიღებული გაკვეთილები .....</b>	<b>45</b>
რეკომენდაციები.....	46
<b>დანართი: ოფიციალური სტატისტიკა .....</b>	<b>48</b>

## **აბრევიატურები**

COVID-19- ახალი ვირუსი SARS-CoV-2 და მისით გამოწვეული დაავადება

NGO - არასამთავრობო ორგანიზაცია

NCDC - დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი

## შესავალი

2019 წლის 31 დეკემბრიდან ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული დაავადება (COVID-19) სწრაფად გავრცელდა მთელს მსოფლიოში მას შემდეგ, რაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ჰუბეის პროვინციის ქალაქ ვუჰანში ვირუსის პირველი შემთხვევები დაფიქსირდა. კორონავირუსის პირველი შემთხვევა საქართველოში 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ 2020 წლის 30 იანვარს ვითარება საერთაშორისო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო მდგომარეობად გამოაცხადა, ხოლო 11 მარტს პანდემიად შეაფასა. 2020 წლის მარტის დასაწყისში, საქართველო ახალი კორონავირუსით დაზარალებულ 190 ქვეყანას შორის ირიცხებოდა და ხელისუფლების ძალისხმევა მიმართული იყო მისი გავლენის შემსუბუქებაზე, როგორც მოქალაქეებზე, ასევე ეკონომიკაზე.<sup>1</sup> ღონისძიებები რამდენიმე ეტაპად გატარდა, თავდაპირველად ისინი მიმართული იყო ვირუსის გავრცელების პრევენციაზე, მოგვიანებით - მეორე ეტაპზე კი გავრცელების შეწყობაზე და მის მართვაზე (მესამე ეტაპი).

საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი სფეროს ერთდროულად შეზღუდვის აუცილებლობის გამო პანდემიასთან ბრძოლის მესამე ეტაპის დასაწყისში, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული დეკრეტის საფუძველზე 2020 წლის 21 მარტს და საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით განსაზღვრული გარკვეული უფლებები და თავისუფლებები შეიზღუდა (მოგვიანებით დეკრეტის მოქმედება გაგრძელდა 2020 წლის 10 მაისამდე). დეკრეტი მოიცავდა ისეთ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომელთა შეზღუდვა კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო ეპიდემიოლოგიური ვითარების მართვისთვის.

სისხლის სამართლის სანქციების უზრუნველყოფის მიზნით შემდეგი ცვლილებები განისაზღვრა დეკრეტივით:

- საქართველოს იუსტიციის მინისტრს მიეცა უფლება, პირობით მსჯავრდებულისა და პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირების მიმართ კანონით დადგენილი რეჟიმის დაცვის ვალდებულება, ასევე პრობაციის ოფიცრის მიერ დადგენილ დროსა და ადგილას გამოცხადება, დაერეგულირებინა მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესით.
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომების გამართვა შესაძლებელი გახდა დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ამ წესით სხდომის გამართვის შემთხვევაში, მასში მონაწილე ყველა პირს შეეზღუდა უფლება, უარი ეთქვა დისტანციურად სხდომის ჩატარებაზე მასზე უშუალო დასწრების სურვილის მოტივით.<sup>2</sup>

<sup>1</sup> COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში, 2020 წ., ხელმისაწვდომია: [http://gov.ge/files/76338\\_76338\\_444796\\_COVID-19angarisshi...pdf](http://gov.ge/files/76338_76338_444796_COVID-19angarisshi...pdf)

<sup>2</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 332<sup>5</sup> (დროებითი წესი, ძალაშია 2022 წლის 1 იანვრამდე) პანდემიის ან/და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის გავრცელების საფრთხის არსებობის შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომა სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია გაიმართოს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, თუ: ბრალდებული/მსჯავრდებული/გამართლებული თანახმაა; ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა, მსჯავრდებულს სასჯელის სახით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა ან/და სასამართლო სხდომის ამ წესით ჩატარებლობამ შესაძლებელია დანაშაულის გახსნისა და პირის

ეპიდემიის საწყის ეტაპზე, COVID-19-ის გავრცელების პრევენციის პარალელურად საქართველოს მთავრობამ სოციალური დახმარება გაუწია როგორც მოქალაქეებს, ასევე ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს, იმ რთული მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელშიც აღმოჩნდა ბევრი ადამიანი სამსახურის დაკარგვის და ბიზნეს ობიექტების დახურვის შემდეგ. აღნიშნული ინიციატივა ითვალისწინებდა 6 თვის განმავლობაში 200 ლარის მიზნობრივ სოციალურ დახმარებას იმ ადამიანებისთვის, ვინც კორონავირუსის პანდემიის გამო დაკარგა სამუშაო ან უხელფასო შვებულებაში გაუშვეს (დაახლოებით 350,000 ადამიანმა მიიღო ეს დახმარება). გარდა ამისა, დამსაქმებლებმა მიიღეს სახელმწიფო სუბსიდია ყოველ შენარჩუნებულ სამუშაო ადგილზე. 300 ლარის ერთჯერადი დახმარება მიიღეს თვითდასაქმებულებმა ან „არაფორმალურ სექტორში“ დასაქმებულებმა. ერთჯერადი დახმარება გაიცა ბავშვიან ოჯახებზე (200 ლარი თითო ბავშვზე). 600 ლარის დახმარება მიიღეს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებმა ოჯახებმა. იმავე ოდენობის ფინანსური დახმარება მიიღეს ასევე გამოკვეთილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებმა.<sup>3</sup>

2020 წლის 5 მარტიდან, პრეზიდენტის დეკრეტის საფუძველზე, პენიტენციურ სისტემაში ამოქმედდა „განსაკუთრებული პირობები“ და თვის ბოლომდე შეიზღუდა პაემნების უფლებით სარგებლობა. საქართველოს ციხეებში დაწესდა მკაცრი კარანტინი, პერსონალის ნაწილი გადაყვანილ იქნა დისტანციურ მუშაობის რეჟიმზე (სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, პედაგოგები) ან „ყაზარმულ რეჟიმზე“ (რეჟიმისა და უსაფრთხოების 780 ოფიცერს, რომლებიც უშუალო შემხებლობაში იყვნენ პატიმრებთან, მოუწიათ პენიტენციურ დაწესებულებებში ცვლაში მუშაობა დაწესებულებიდან გაუსვლელად ორ კვირაზე მეტი ხნით). მოცემულ პერიოდში ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს შეუჩერდათ პაემნებით სარგებლობის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, აგრეთვე, განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების უფლება. 2020 წლის მარტის დასაწყისიდან, ბევრი საჯარო მოხელე გადაყვანილ იქნა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე, მათ შორის პრობაციის ეროვნული სააგენტოს პერსონალი.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლების მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლასთან ერთად, პირობით მსჯავრდებულები გათავისუფლდნენ პრობაციის ბიუროებში რეგულარული გამოცხადებისა და რეჟიმის ვალდებულებისაგან, თავდაპირველად ერთი თვით 2020 წლის 12 მარტიდან 12 აპრილამდე პერიოდში. 17 აპრილს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პირობით მსჯავრდებულთათვის პრობაციის ბიუროში გამოცხადების ვალდებულებისგან გათავისუფლების ვადის გახანგრძლივების შესახებ. ეპიდემიოლოგიური ვითარების შეფასების შედეგად, 18 მაისს პრობაციის ბიუროებში, გამოცხადების ეტაპობრივად აღდგენა ოჯახურ დანაშაულში მსჯავრდებული პირებით დაიწყო.

ამ პერიოდში და პანდემიის განმავლობაში პირობითი მსჯავრის გაუქმებასა და ნასამართლობის მოხსნასთან, ასევე, სასამართლოს მიერ ჩამორთმეული უფლებების აღდგენასთან დაკავშირებით პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი

---

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საჯარო ინტერესის ხელყოფა გამოიწვიოს. სასამართლო სხდომის ამ წესით გამართვის შემთხვევაში მასში მონაწილე არცერთ პირს არ აქვს უფლება, უარი განაცხადოს სხდომის დისტანციურად გამართვაზე მასზე უშუალოდ დასწრების სურვილის მოტივით.

<sup>3</sup> ირინა გურული, EPRC, „პანდემიის მიმოხილვა - ეკონომიკური ზეგავლენა და შედეგები საქართველოსთვის“, გვ. 8, ხელმისაწვდომია: [https://eprc.ge/uploads/Covid19Georgia\\_geo.pdf](https://eprc.ge/uploads/Covid19Georgia_geo.pdf) )

მუდმივმოქმედი კომისიის სხდომები ტარდებოდა დისტანციურად ვიდეო-კონფერენციის საშუალებით.

2020 წელს დაწესებული იყო მკაცრი ზომები, რომლებიც მიმართული იყო საქართველოში ვირუსის გავრცელების შეზღუდვის, ინფექციისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირებისაკენ. საზოგადოებაში დაწესებული შეზღუდვები მოიცავდა შემდეგს:<sup>4</sup>

- საჰაერო და სახმელეთო მიმოსვლის შეზღუდვა;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადაადგილების შეზღუდვა (მარტში და ასევე მოგვიანებით წლის განმავლობაში);
- საქართველოს მთავრობა და ყველა სახელმწიფო დაწესებულება გადავიდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე. ასევე, დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლის რეკომენდაცია გაიცა კერძო სექტორისთვისაც (12 მარტი).
- ქვეყნის მასშტაბით დაიხურა ყველა სავაჭრო და საცალო ვაჭრობის ობიექტი, გარდა პროდუქტების მაღაზიებისა, აფთიაქებისა, გაზგასამართი სადგურებისა, საფოსტო დაწესებულებებისა და ბანკებისა, რათა შეზღუდულიყო ბევრი ადამიანის თავშეყრა და გადაადგილება (19 მარტი)
- 31 მარტიდან დაწესდა კომენდანტის საათი (21:00 – 6:00). კომენდანტის მოქმედების ვადაში „ლოკდაუნი“ გამოცხადდა ოთხ დიდ ქალაქში (თბილისი, რუსთავი, ბათუმი და ქუთაისი), რომელიც მოიცავდა გადაადგილების აკრძალვას მსუბუქი ავტომობილით.
- 3 ადამიანზე მეტის შეკრება საჯარო სივრცეებში აკრძალული იყო მაისის შუა რიცხვებამდე, მოგვიანებით ძალაში იყო 10 ადამიანზე მეტის შეკრების აკრძალვა.
- საქალაქთაშორისო მგზავრობაზე დაწესებული იყო შეზღუდვა, მათ შორის მსუბუქი ავტომობილების მგზავრობა რაოდენობაზე.

ამასთანავე, შემდეგი კონკრეტული შეზღუდვები შეეხო სისხლის სამართლის სისტემას, რომელიც აისახა მსჯავრდებულებზე (როგორც პრობაციონერ და არასაპატიმრო სასჯელშეფარებულ პირებზე, ასევე პატიმრებზე):

- პრობაციონერები გათავისუფლდნენ ბიუროებში გამოცხადების ვალდებულებისგან 12 მარტიდან 18 მაისამდე პერიოდში, ზოგიერთი მსჯავრდებულისთვის ეს შეღავათი მოქმედებდა უფრო ხანგრძლივი დროით.
- საგანგებო პირობები ამოქმედდა ორი კვირის ვადით, რა დროსაც შეიზღუდა კონტაქტი პენიტენციურ დაწესებულებებსა და გარე სამყაროს შორის, საოჯახო, გრძელვადიანი და მოკლევადიანი პაემნების აკრძალვით.

პერიოდული შეზღუდვები გაგრძელდა 2021 წელსაც, რაც დაკავშირებული იყო ინფიცირების მაჩვენებლების განსაკუთრებულ ზრდასთან. საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადაადგილებაზე ისევ დაწესდა შეზღუდვა ერთი თვის ვადით, 12 აგვისტოდან 13 სექტემბრამდე,<sup>5</sup> COVID-19-ით გამოწვეული ინფიცირებისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლების შემცირების მიზნით. პირბადეების ტარების

<sup>4</sup> იხ შეზღუდვების ქრონოლოგია 2020 და 2021 წლებში შემდეგ ბმულზე:  
<https://factcheck.ge/ka/story/38395-საქართველოში-კორონავირუსის-covid-19-გავრცელება-და-პრევენციული-ქმედებები-ქრონოლოგია>  
<sup>5</sup> <https://agenda.ge/en/news/2021/2477>, <https://agenda.ge/en/news/2021/2310>



ვალდებულება, როგორც დახურულ, ასევე ღია საჯარო სივრცეებში ძალაში დარჩა ხალხმრავალ შეკრებებთან დაკავშირებულ სხვა შეზღუდვებთან ერთად. გარდა ამისა, საჯარო დაწესებულებებმა მიიღეს მითითება, გაეგრძელებინათ მუშაობა დისტანციურ რეჟიმში, მაქსიმალურად და საკოორდინაციო საბჭომ გამოსცა შესაბამისი რეკომენდაცია ასევე კერძო დამსაქმებლებისათვის.

2021 წლის 24 აგვისტოს, საქართველოში COVID-19-ით ინფიცირების 5,128 ახალი შემთხვევა გამოვლინდა და 49 ადამიანი გარდაიცვალა. დღიური დადებითობის მაჩვენებელი 10.4% იყო, ბოლო 14 დღის საშუალო მაჩვენებელი კი - 9.6%.<sup>6</sup> 13 სექტემბრისთვის გარდაცვლილთა რაოდენობა 8,000-ს აღწევდა.<sup>7</sup>

პანდემიის ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე მრავალმხრივია, როგორც მოსალოდნელი იყო, მოიცავს აგრეგირებული მოთხოვნის კლებას, უმუშევრობის ზრდას (როგორც დროებითი, ასევე გრძელვადიანი), სიღარიბის ხარისხის და სიმწვავის გაუარესებას, წინეს ეროვნულ ვალუტაზე, ტურისტული შემოსავლებისა და ფულადი გზავნილების კლებას.<sup>8</sup>

## პროექტის შესახებ

კვლევა ჩატარდა პროექტის „გათავისუფლების შემდგომი მხარდაჭერისა და პატიმრობის ალტერნატივების განხორციელება და მართვაში არსებული ხარვეზების გამოსწორება COVID-19-ის გლობალური პანდემიის განმავლობაში“ ფარგლებში, რომელსაც კოორდინაციას უწევს ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმა“. პროექტის მიზანია უკეთ გავიგოთ თუ რა გავლენა იქონია COVID-19-ის პანდემიამ პატიმრობის ალტერნატიული სასჯელების და პრობაციის აღსრულების პროცესზე, ასევე პატიმრობიდან გათავისუფლების შემდგომ სერვისებზე, სისხლის სამართლის სისტემების დახმარების მიზნით მომავალ კრიზისებზე უკეთ რეაგირებასა და ადაპტაციის მიმართულებით.

პროექტი მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს, მათ შორისაა კვლევის ჩატარება, ონლაინ დისკუსიები ექსპერტების მონაწილეობით, შეხვედრები სისხლის სამართლის სფეროში მომუშავე ადამიანებთან, ნასამართლობის გამო მართლმსაჯულების სისტემასთან და პრობაციის სამსახურთან კონტაქტში მყოფ პირებთან. პროექტის ძირითადი აქტივობები ხორციელდება ოთხ ქვეყანაში: საქართველოში, უნგრეთში, ყირგიზეთსა და პორტუგალიაში, ასევე მოიცავს შედარებით კვლევას COVID-19-ის პანდემიის გავლენის თაობაზე არასაპატიმრო სასჯელებისა და პირობითი მსჯავრის აღსრულების საკითხებზე ევროკავშირის მასშტაბით.<sup>9</sup> ეს აქტივობები მიზნად ისახავს რეკომენდაციებით დაეხმაროს

<sup>6</sup> (<https://factcheck.ge/en/story/38395-chronology-and-preventive-measures-against-the-spread-of-the-coronavirus-in-georgia>)

<sup>7</sup> [http://gov.ge/index.php?lang\\_id=geo&sec\\_id=556&info\\_id=80291](http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=556&info_id=80291)

<sup>8</sup> ირინა გურული, EPRC, „პანდემიის მიმოხილვა - ეკონომიკური ზეგავლენა და შედეგები საქართველოსთვის“, გვ. 6, [https://eprc.ge/uploads/Covid19Georgia\\_geo.pdf](https://eprc.ge/uploads/Covid19Georgia_geo.pdf) )

<sup>9</sup> კვლევების ანგარიშები მოცემულია შემდეგ ბმულზე: [www.penalreform.org/resource/country-reports-impact-of-covid-19-on-non-custodial-measures/](http://www.penalreform.org/resource/country-reports-impact-of-covid-19-on-non-custodial-measures/). შედარებითი კვლევა იხილეთ ინგლისურ ენაზე: PRI and University of Coimbra, 'The impact of the COVID-19 pandemic on non-custodial sanctions and measures: Summary report of a comparative study in Member States of the European Union' („COVID-19-ის პანდემიის ზეგავლენა არასაპატიმრო სასჯელებსა და ზომებზე, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში

პროექტის სამიზნე ოთხი ქვეყნის გარდა ასევე სხვა ქვეყნებს იმისათვის, რომ მათ გააუმჯობესონ პრობაციისა და არასაპატიმრო სასჯელების აღსრულებასთან დაკავშირებული პროცესები და სერვისები, გახადონ ისინი უფრო ხელმისაწვდომი და მხარდაჭერი მსჯავრდებული პირების მიმართ, კრიზისულ და არეულობის პერიოდებშიც.

პროექტს აფინანსებს International Penal and Penitentiary Foundation (IPPF), არაკომერციული ფონდი, რომელიც მუშაობს დანაშაულის პრევენციასა და მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის საკითხებზე. IPPF-ის მიერ პროექტის მხარდაჭერის მიზანია სისხლის სამართლის სისტემები სამართლიანად და ეფექტიანად გაუმკლავდნენ COVID-19-ის ზეგავლენას იმ ადამიანებზე, რომლებიც იხდიან საპატიმრო ან არასაპატიმრო სასჯელებს.

## კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში მონაცემთა შეგროვება ეფუძნებოდა მეთოდების ერთობლიობას, მათ შორის საბაზისო სამაგიდო კვლევას და დოკუმენტების მიმოხილვას, შერჩეულ რესპონდენტთა სიდრმისეულ ინტერვიუებს და გამოკითხვებს, რამაც შესაძლებელი გახდა ინფორმაციის შეგროვება როგორც პირველადი, ისე მეორადი წყაროებიდან.

**სამაგიდო კვლევის** საშუალებით შესაძლებელი გახდა საკანონმდებლო და სიტუაციური კონტექსტის სიდრმისეული გაგება არასაპატიმრო სანქციებისა და ზომების გამოყენებისა და აღსრულების შესახებ კანონმდებლობის, პოლიტიკის დოკუმენტებისა და ოფიციალური სტატისტიკის ანალიზის გზით, სხვა შესაბამის კვლევის დოკუმენტებთან ერთად. სამაგიდო კვლევის ფარგლებში ასევე მიმოხილულ იქნა COVID-19-თან დაკავშირებული ღონისძიებებისა და მათი ზეგავლენის თაობაზე 2020 და 2021 წლებში გამოქვეყნებული ახალი ამბების შესახებ სტატიები.

კვლევის დასაწყისში გამოვლინდა სამიზნე ჯგუფები და ჩატარდა **სიდრმისეული ნახევრად სტრუქტურირებული** ონლაინ ინტერვიუ 16 პირთან, მათ შორის პრობაციის სამსახურის თანამშრომლებთან (პრობაციის ოფიცრები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები და ხელმძღვანელობა) ოთხი სხვადასხვა რეგიონული ბიუროდან. ინტერვიუები ასევე ჩატარდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლესთან, სპეციალური პენიტენციური სამსახურის ორ წარმომადგენელთან და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, რომლებიც მუშაობდნენ პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან და მის ბენეფიციარებთან (იხ. ქვემოთ მოცემული ცხრილი). შემუშავდა ინტერვიუს ზოგადი გზამკვლევი და გამოყენებული იქნა შესაბამისი სექციები რესპონდენტების გამოკითხვისას. ინტერვიუები ჩატარდა ვიდეოკონფერენციის საშუალებით ქვეყანაში COVID-19 შემთხვევების სიმრავლისა და სოციალური დისტანციის დაცვის აუცილებლობის გამო. ასევე ჩატარდა 32 პრობაციონერის **გამოკითხვა** სატელეფონო ინტერვიუს ან წერილობითი ანკეტირების საშუალებით, რათა გავცნობოდი მათ გამოცდილებას პანდემიის დროს.

---

ჩატარებული შედარებითი კვლევის მოკლე ანგარიში“, 2022 წ. იანვარი, ჩატარდა როგორც შედარებითი კვლევა, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ‘PRI Alt Eur: ევროპაში არადისკრიმინაციული ალტერნატიული სასჯელების გამოყენების ხელშეწყობა“ ფარგლებში.

მონაცემთა შეგროვების ამ მეთოდების საშუალებით შესაძლებელი გახდა ინფორმაციის მიღება იმ პირთა გამოცდილების შესახებ, ვინც იყენებს, ადასრულებს ან იხდის პრობაციისა და სხვა არასაპატიმრო სანქციების სახით სასჯელს, ან რომლებიც გათავისუფლდნენ სასჯელის მოხდისგან პანდემიის დროს.

ინტერვიუები და გამოკითხვები ჩატარდა 2021 წლის 27 ივლისიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში.

გამოკითხულ რესპონდენტთა სია:

რესპონდენტთა ჯგუფები	ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა
პრობაციის პერსონალი (ოფიცრები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, ხელმძღვანელი რგოლი)	10 ინტერვიუ, მოიცავდა პრობაციის 4 ბიუროს წარმომადგენლებს (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი და ზუგდიდი)
პრობაციაში აღრიცხვაზე მყოფი მსჯავრდებულები	32 ინტერვიუ
სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენლები	2 ინტერვიუ
NGO-ების წარმომადგენლები	3 ინტერვიუ
თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე	1 ინტერვიუ

პრობაციის პერსონალი გასაუბრებისთვის შეირჩა პრობაციის ეროვნული სააგენტოს (კვლევისა და სერვისების დეპარტამენტი) მიერ მოწოდებული სიის საფუძველზე, კვლევის მონახაზის და მისი მიზნებისა და ამოცანების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდების შემდეგ. პრობაციის ზოგიერთ ბენეფიციართან დაკავშირება მოხდა პრობაციის პერსონალის ან პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით, რომლებიც მათთან მუშაობენ. სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა თავის თანამშრომლებთან გასაუბრების ნება დაგვრთო ოფიციალური წერილის საფუძველზე, რომლითაც ვითხოვდით გასაუბრების ნებართვას პატიმართა გათავისუფლებისთვის მომზადებისა და პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხებზე.

ინტერვიუების დასაწყისში გაზიარებული იყო ინფორმაცია კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, ასევე შეგროვებული ინფორმაციის გამოყენების მიზნები და კვლევის ეთიკური საკითხები. რესპონდენტებს ეცნობათ ინფორმაციის შეგროვებისა და ჩაწერის ანონიმური და კონფიდენციალური ხასიათის შესახებ. ინფორმირებული თანხმობის ფორმები მიეწოდა ყველა პოტენციურ რესპონდენტს და ინტერვიუები და გამოკითხვები ჩატარდა მხოლოდ ნებაყოფლობით საფუძველზე.

### კვლევის შეზღუდვები

ინფორმაციის შეგროვების ძირითადი საშუალება იყო ონლაინ შეხვედრები ან სატელეფონო ზარები ყველა თანამოსაუბრესთან. თუმცა, რესპონდენტთა საკმარისი რაოდენობა შეირჩა თვისებრივი კვლევისთვის, რათა შესაძლებელი ყოფილიყო

სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენელთა გამოცდილების გაცნობა პანდემიის ვითარებაში გეოგრაფიული ასპექტის გათვალისწინებით.

ვინაიდან მოხერხდა საქალაქო სასამართლოს მხოლოდ ერთ მოსამართლესთან დაკავშირება და გასაუბრება, ამიტომ სასამართლო ხელისუფლების თვალსაზრისი საკმაოდ შეზღუდულია და მისი შევსება მოხდა ოფიციალური სტატისტიკით, რომელიც ასახავს პანდემიის დროს სასჯელის გამოყენების პრაქტიკას და სასჯელშეფარდების ტენდენციებს.

განსახილველ კვლევაში არ არის შესწავლილი მართლმსაჯულების სისტემაში მყოფი ბავშვების პრობლემები, რადგან საკვლევი საკითხები არ ითვალისწინებდა ცალკე ამ ასაკობრივი ჯგუფის გამოცდილების შესწავლას. შესაბამისად, პრობაციის სამსახურის მუშაობა არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებაში პანდემიის პირობებში არ არის ასახული ამ კვლევასა და ანგარიშში.

## პრობაციის სამსახური და პატიმრობის ალტერნატივები

### პრობაციის ეროვნული სააგენტო და მისი ბიუროები

საქართველოს პრობაციის სამსახური, რომელსაც ამჟამად ეწოდება დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო (შემდგომში, პრობაციის ეროვნული სააგენტო) სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით არსებობს 2003 წლიდან. ამჟამად ის წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (ნახევრად ავტონომიურ ორგანოს). მისი მუშაობა რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით და სხვა საკანონმდებლო აქტებით, უპირველესად საქართველოს კანონით „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელების აღსრულების პროცედურისა და პრობაციის შესახებ“<sup>10</sup> (შემდგომში, პრობაციის შესახებ კანონი) და კანონქვემდებარე აქტებით, რომლებიც წარმოდგენილია იუსტიციის მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებებით.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიზანია არასაპატიმრო სასჯელებისა თუ პრობაციის ღონისძიებების შესახებ სამართლებრივი აქტების აღსრულებით, დანაშაულის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებითა და მსჯავრდებულისა და ყოფილი პატიმრის რესოციალიზაციითა და რეაბილიტაციით საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფა (პრობაციის შესახებ კანონი, მე-7 მუხლი).

პრობაციის ეროვნული სააგენტო ასრულებს შემდეგ ამოცანებს მიზნების მისაღწევად:

- მსჯავრდებულთა რისკებისა და საჭიროებების შეფასება;
- სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა;
- სავალდებულო მეთვალყურეობა და კონტროლი, და;
- მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობა და მხარდაჭერა.

მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით სააგენტო თანამშრომლობს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრთან, რომელიც უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა პროფესიულ მომზადებასა და გადამზადებას მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით.

პრობაციის სამსახური ასევე წარმოადგენილია სპეციალური პენიტენციური სამსახურის, პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივ საბჭოებში, მონაწილეობს პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ მსჯავრდებულთა განცხადებების განხილვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები ატარებენ მსჯავრდებულთა ოჯახური გარემოს შეფასებას, გარდამავალი მენეჯმენტისა და გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის ფარგლებში. მეზღუდული რესურსების პირობებში ამ ეტაპზე აღნიშნული მუშაობა ტარდება ქალთა N5, არასრულწლოვანთა N11 და დაბალი რისკის N16 დაწესებულებებში მყოფ მსჯავრდებულებთან მიმართებაში.

პრობაციის ბიუროების მეშვეობით სააგენტო უზრუნველყოფს ვიდუოპაემნის ორგანიზებას პენიტენციური დაწესებულებების გარეთ (გათვალისწინებული პატიმრობის

<sup>10</sup> კანონი N4956, მიღებულია 2007 წლის 19 ივნისს, ბოლო ცვლილებები განხორციელდა 2020 წლის ივლისში, ხელმისაწვდომი: <https://matsne.gov.ge/document/view/21610?publication=35>

კოდექსის 17<sup>1</sup> მუხლით). ვიდეოპაემანი ითვალისწინებს კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებით კავშირის პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ პატიმარსა და პრობაციის შესაბამის ბიუროში მისულ ოჯახის წევრთან ან მეგობართან.

სააგენტო ასევე უფლებამოსილია დააფინანსოს კულტურული, სოციალური, ჯანდაცვის და სხვა ღონისძიებები, რათა ხელი შეუწყოს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციას.

პრობაციის ეროვნულ სააგენტოში დასაქმებული არიან პრობაციის ოფიცრები, ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები.<sup>11</sup> უფლებამოსილებები, რომლებიც კანონმდებლობის თანახმად მინიჭებული აქვთ (პრობაციის შესახებ კანონი, მუხლი 40) პრობაციის ოფიცრებს და სოციალურ მუშაკებს, ასახავს პრობაციის სამსახურის საზედამხედველო და მხარდამჭერ ფუნქციებს. პრობაციის ოფიცრები ასრულებენ შემდეგ ამოცანებს:

- სასამართლოს მიერ მსჯავრდებულისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების კონტროლი;
- მსჯავრდებულის ქცევის კონტროლი და მისთვის დახმარების გაწევა;
- მსჯავრდებულთან აღმზრდელი ხასიათის ღონისძიებების ჩატარება;
- მსჯავრდებულისთვის შეძლებისდაგვარად შრომით მოწყობაში დახმარების გაწევა;
- მსჯავრდებულის რესოციალიზაციის ხელშეწყობი სხვა ზომების ჩატარება, რომლისთვისაც, ოფიცერი საჭიროებისამებრ ამყარებს საქმიან ურთიერთობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და სხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანიზაციებთან;
- შესაბამისი სამართლებრივი აქტის აღსრულება მსჯავრდებულის რისკის შეფასების და სასჯელის ინდივიდუალური გეგმის მიხედვით. აღნიშნული ფუნქციის შესრულებისას პრობაციის ოფიცერი თანამშრომლობს სოციალურ მუშაკთან და ფსიქოლოგთან;
- მსჯავრდებულის მიერ კანონით დადგენილი რეჟიმის შესრულების თაობაზე ინფორმაციის, აგრეთვე მსჯავრდებულის შესახებ სხვა ინფორმაციის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში რეგისტრაცია, მინისტრის მიერ დამტკიცებული „არასაპატიმრო სასჯელთა და პრობაციის აქტების სააღსრულებო წარმოების შესახებ ინსტრუქციის“ შესაბამისად;

პრობაციის ოფიცერს სასამართლოს მიერ მსჯავრდებულისათვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების დროს მისი ყოფაქცევის კონტროლის განხორციელებისას უფლება აქვს:

- ა) პრობაციის შესახებ კანონით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი პერიოდულობით დაიბაროს მსჯავრდებული აღრიცხვისათვის;
- ბ) ჩამოართვას მსჯავრდებულს ახსნა-განმარტება;
- გ) მსჯავრდებულის ყოფაქცევის შესახებ ინფორმაცია მიიღოს მისი ნათესავებისაგან, ნაცნობებისაგან, სამუშაო ადგილიდან და სასწავლო დაწესებულებიდან;
- დ) გამოითხოვოს მსჯავრდებულის შესახებ შესაბამის სახელმწიფო და სამკურნალო დაწესებულებებში არსებული ინფორმაცია.

<sup>11</sup> პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულება, დამტკიცებულია იუსტიციის მინისტრის N485-ე ბრძანებით 2019 წლის 31 დეკემბერს, ძალაშია 2020 წლის 1 იანვრიდან

პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები მუშაობენ მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის ქვეშ და მათ მუშაობას პრობაციის შესახებ კანონის გარდა ასევე არეგულირებს საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“.<sup>12</sup>

პრობაციის სამსახურში დასაქმებული სოციალური მუშაკები ასრულებენ მთელ რიგ ამოცანებს პრობაციონერთა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობისა და განმეორებითი დანაშაულის პრევენციის მიზნით:

- პირობით მსჯავრდებულ პირთა რისკებისა და საჭიროებების შეფასება.
- მულტიდისციპლინური ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა ბენეფიციარის ზიანის რისკისა და დანაშაულის განმეორების ალბათობის დასადგენად და სხვა სპეციალისტებთან ერთად სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის შემუშავება;
- სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური გეგმის ფარგლებში ბენეფიციარებისთვის სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდება;
- პირობით მსჯავრდებულთა ოჯახებთან მუშაობა ოჯახური კონფერენციების მოწყობისა და კონსულტაციის გაწევის საშუალებით;
- პირობით მსჯავრდებულთა საჭიროებების შესაბამისი სარეაბილიტაციო ტრენინგმოდულების შექმნაში მონაწილეობა;
- პირობით მსჯავრდებულთა დაკავშირება იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც ხელს შეუწყობენ მათ რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციას;
- მსჯავრდებულის გათავისუფლებისათვის მომზადების პროცესში სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს კოორდინირებული საქმიანობის ფარგლებში პირობით ვადამდე გათავისუფლების კომისიისთვის მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებისა და საჭიროებების შეფასების შესახებ დასკვნის მომზადება.

არასრულწლოვან და ახალგაზრდა მსჯავრდებულებთან (18-21 წ) მომუშავე სოციალური მუშაკები ასევე მონაწილეობენ განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში და ამზადებენ სასამართლოსთვის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს, რათა მოსამართლეებმა მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილება სასჯელის დანიშვნის შესახებ.

სააგენტოს ფსიქოლოგები მონაწილეობენ რისკისა და საჭიროებების შეფასების პროცესში, ასევე სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვაში და შემთხვევების მართვაში მულტი-დისციპლინური გუნდის შემადგენლობაში, სხვა სპეციალისტებთან ერთად. ისინი ასევე აწვდიან პირობით მსჯავრდებულებს სარეაბილიტაციო პროგრამას, რომელიც წარმოადგენს დანაშაულებრივ ქცევაზე ფოკუსირებული, დანაშაულთან დაკავშირებული ან პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ ღონისძიებას.<sup>13</sup>

<sup>12</sup> მიღებულია 2018 წლის 13 ივნისს, <https://matsne.gov.ge/document/view/4231958?publication=6>

<sup>13</sup> იუსტიციის მინისტრის ბრძანება N502 (2020 წლის 12 მარტი) სრულწლოვან მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მიზნით რისკისა და საჭიროებების შეფასების, აგრეთვე, ინდივიდუალური გეგმის მომზადების, განხორციელებისა და მონიტორინგის წესის (შემთხვევის მართვის წესი) დამტკიცების შესახებ

## არასაპატიმრო სასჯელები და პრობაცია

იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ როგორ იმოქმედა პანდემიამ არასაპატიმრო სანქციებზე, პრობაციის ღონისძიებებსა ან პატიმრობიდან გათავისუფლების პროცესებზე, ჯერ მიმოვიხილოთ თუ როგორ მუშაობს ისინი კანონმდებლობასა და პრაქტიკაში. აღნიშნული საკითხის შესასწავლად გამოკვლეულ იქნა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, პოლიტიკის დოკუმენტები და ოფიციალური სტატისტიკა, რომელიც შეივსო პრობაციის სისტემის შესახებ არსებული ცოდნით, რაც ეფუძნება ქვეყანაში მრავალწლიან მუშაობას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და პრობაციის შესახებ კანონით (მუხლი 2) გათვალისწინებული შემდეგი არასაპატიმრო სასჯელები ექვემდებარება პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ აღსრულებას:

- თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;
- იურიდიული პირისათვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;
- საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;
- გამასწორებელი სამუშაო;
- შინაპატიმრობა;
- იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა.

ამას გარდა, კანონით აღსრულებას ექვემდებარება პრობაციის შემდეგი ღონისძიებები:

ა) პირობითი მსჯავრი;

ბ) სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება;

გ) სასჯელის მოხდის გადავადება (ორსული ქალისათვის – მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე)<sup>14</sup>

აღნიშნულ ღონისძიებებს სასჯელის სახის განსაზღვრასთან ერთად შესაძლოა ასევე დამატებით ახლდეს აღმზრდელი პირობითი ზემოქმედების ან/და სამედიცინო ხასიათის მოთხოვნები.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ აღსრულებას ექვემდებარება აგრეთვე განრიგების სუბიექტის მიერ ნაკისრი საზოგადოებისათვის სასარგებლო უსასყიდლო სამუშაოს შესრულება.

პრობაციის ეროვნული სააგენტო და მისი ბიუროები აღსრულებენ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას (პრობაციის შესახებ კანონი, მუხლი 29), რომლის სასჯელის სახით შეფარდება ხდება სასამართლოების მიერ, ხოლო უფრო მსუბუქი სახის სასჯელად გამოყენება თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილის ჩასანაცვლებლად, პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოების მიერ. პრობაციის სამსახური განუსაზღვრავს მსჯავრდებულს შესასრულებელი სამუშაოს სახეს და ყოველდღიურ ხანგრძლიობას. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით დანიშნული სასჯელი აღსრუდება საჯარო დაწესებულებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, შესასრულებელი სამუშაოს საზოგადოებისათვის სასარგებლო ხასიათიდან გამომდინარე, სასჯელი შეიძლება აღსრულდეს კერძო სამართლის იურიდიულ პირში.

პრობაციის ბიუროსა და დამსაქმებელს შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც მიეთითება მსჯავრდებულის მიერ შესასრულებელი საზოგადოებისათვის სასარგებლო

<sup>14</sup> სისხლის სამართლი კოდექსი, მუხლი 75, სასჯელის მოხდის გადავადება ორსული ქალისათვის, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=237>



შრომის სახე, მთლიანი ვადა, ყოველდღიური ხანგრძლივობა, სამუშაო ადგილი, დამსაქმებლის დასახელება და მისამართი, აგრეთვე საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოებები. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება შესრულდეს დღის ნებისმიერ მონაკვეთში, მსჯავრდებულებს შეუძლიათ სურვილის შემთხვევაში იმუშაონ უქმე დღეებში, თუ შესაბამისი გარემოებები ამის საშუალებას იძლევა.

პრობაციის ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას – ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლის ორგანიზებას. აღნიშნული ამოცანა, სააგენტოს გარდა, სააგენტოსთან დადებული ხელშეკრულების (მემორანდუმის) საფუძველზე შეიძლება განახორციელოს აგრეთვე სათანადო გამოცდილების (კომპეტენციის) მქონე სოციალურმა დაწესებულებამ, არასამეწარმეო (არაკომერციულმა) იურიდიულმა პირმა ან შესაბამისი განათლების მქონე პირმა (პრობაციის შესახებ კანონის 40<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად).

იმ შემთხვევაში, როდესაც პრობაციაში აღრიცხვაზე მყოფი მსჯავრდებულები არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს (პრობაციის ოფიცრის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა, სასამართლოს მიერ დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან ასეთ ვალდებულებაზე უარის თქმა, მსჯავრდებულის გამოუცხადებლობა მინიმუმ სამჯერ პრობაციის ოფიცრის მიერ განსაზღვრულ დროსა და ადგილზე ან კლიენტის მიერ ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმის ან თავის არიდების შემთხვევაში), პრობაციის ოფიცრებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს არასაპატიმრო სასჯელის პირობების გაუქმების ან შეცვლის რეკომენდაციით (პრობაციის შესახებ კანონის 44-ე მუხლის შესაბამისად).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (1999 წ., 471-ე მუხლი) მიხედვით, შინაპატიმრობა გულისხმობს მსჯავრდებულის დღის განსაზღვრულ პერიოდში საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას. ეს სანქცია, რომელიც დაწესებულია ექვსი თვიდან ორ წლამდე ვადით, ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომლებსაც არ აქვთ ნასამართლეობა. თუ სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამასწორებელი შრომა ან ჯარიმა შეიცვლება შინაპატიმრობით, ის შეიძლება დაეკისროს ექვს თვეზე ნაკლები და ორ წელზე მეტი ვადით.

ზოგადად, შინაპატიმრობა ხორციელდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით. შინაპატიმრობის გამოყენება დაუშვებელია გაწვეული სამხედრო მოსამსახურის ან ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირის მიმართ. შინაპატიმრობის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულს ეკრძალება საქართველოს საზღვრის გადაკვეთა.

**პირობითი მსჯავრის** დროს, თუ არსებობს საამისო საფუძველი, სასამართლოს შეუძლია მსჯავრდებულს დააკისროს განსაზღვრული მოვალეობის შესრულება: პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი, არ დაამყაროს ურთიერთობა იმასთან, ვინც შეიძლება იგი ჩააბას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში, არ მოინახულოს განსაზღვრული ადგილი, მატერიალურად დაეხმაროს ოჯახს, გაიაროს ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტოქსიკომანიის ან ვენერიული სენის მკურნალობის კურსი, ხოლო თუ მსჯავრდებული ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირია – აგრეთვე ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსი. სასამართლოს შეუძლია მსჯავრდებულს დააკისროს სხვა მოვალეობაც, რომელიც ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას (სსკ, მუხლი 65).

ხოლო მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების შემთხვევაში, ადგილობრივი საბჭო უფლებამოსილია მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით მიმართოს პრობაციის ეროვნულ სააგენტოს რეკომენდაციით მსჯავრდებულისათვის დამატებითი პირობების განსაზღვრის თაობაზე. (პატიმრობის კოდექსი, 42-ე მუხლის მე-8 ნაწილი). ეს შეიძლება იყოს იმ საგანმანათლებლო ან სარეაბილიტაციო კურსების გაგრძელება გათავისუფლების შემდეგ, რომელიც მსჯავრდებულმა ციხეში ყოფნისას დაიწყო.

### **პირობით ვადამდე გათავისუფლება (საქართველოს სსკ-ის 72-ე მუხლი)**

თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა (გარდა საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულისა) პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოები (სპეციალური პენიტენციური სამსახურის კვაზი-სასამართლო ორგანოები). პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ მსჯავრდებულის განცხადება განიხილება მას შემდეგ, რაც პირი მოიხდის სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულისთვის სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილ ვადას. შემდეგ პირობით გათავისუფლებულ პირებს ზედამხედველობას უწევს პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ორგანო - პრობაციის ბიურო.

კანონის (პატიმრობის კოდექსი, მუხლი 42, ნაწილი 1) თანახმად, თუ მსჯავრდებულმა, გარდა საშიშროების მაღალი რისკის პატიმრისა, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის კანონით დადგენილი ვადა, პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია საბჭოს დაუყოვნებლივ წარუდგინოს შესაბამისი შუამდგომლობა და ეს აცნობოს მსჯავრდებულს. შუამდგომლობის განხილვისას სასჯელის მოხდის პერიოდში მსჯავრდებულის ქცევას, მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტებს, მსჯავრდებულის პიროვნებას, ოჯახურ მდგომარეობას, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს და სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საბჭოს გადაწყვეტილებაზე. საბჭო ატარებს ზეპირ მოსმენას, თუ ჩათვლის, რომ აუცილებელია მსჯავრდებულისგან დამატებითი ინფორმაციის მიღება მისი ვადამდე პირობით გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. ზეპირი მოსმენით საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ ან მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ. გადაწყვეტილება უარის შესახებ შეიძლება ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდეს სასამართლოში.

თუ საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ, იმავე საკითხზე შუამდგომლობის ხელახლა განხილვა შესაძლებელია მხოლოდ 6 თვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსახდელი სასჯელის ვადა 6 თვეს არ აღემატება ან/და არსებობს განსაკუთრებული გარემოება. მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვა სავალდებულოა 6 თვეში ერთხელ. (პატიმრობის კოდექსი, 42-ე მუხლის მე-7 ნაწილი). თუ მოსახდელი სასჯელის ვადა 6 თვეს არ აღემატება, საბჭო მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს განიხილავს მსჯავრდებულის წერილობითი განცხადების საფუძველზე.

პატიმრის პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების შემთხვევაში საბჭო უფლებამოსილია მიმართოს პრობაციის ეროვნულ სააგენტოს გათავისუფლების

შემდგომი პრობაციის ფარგლებში დამატებითი პირობების დადგენისა და დაწესების რეკომენდაციით.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 43-ე მუხლის თანახმად, ადგილობრივი საბჭოები ასევე იღებენ გადაწყვეტილებას საპატიმრო სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი - ალტერნატიული, არასაპატიმრო სასჯელით შეცვლის შესახებ.

მსჯავრდებულები (გარდა საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულებისა) ან მათი დამცველები/კანონიერი წარმომადგენლები საბჭოს განსახილველად წარუდგენენ შუამდგომლობას, საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერი დამატებითი ინფორმაციის ჩათვლით. ამ შემთხვევებში ადგილობრივმა საბჭოებმა ასევე უნდა განიხილონ რამდენიმე ფაქტორი და გამოიყენონ იუსტიციის მინისტრის მიერ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები, ადმინისტრაციული პროცედურების დაცვით საქმეების განხილვისას - ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე. მსჯავრდებულისათვის სასჯელის შემსუბუქების შესახებ გადაწყვეტილებას საბჭო იღებს მხოლოდ ზეპირი მოსმენით მსჯავრდებულთან გასაუბრების შემდეგ. საბჭომ მხოლოდ მსჯავრდებულის თანხმობით უნდა გადაწყვიტოს სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით შეცვლის საკითხი. საბჭოს გადაწყვეტილება სასჯელის შეცვლაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდეს სასამართლოში. თუ გასაჩივრების შემდეგ საბჭო უარს იტყვის სასჯელის შეცვლაზე, იგივე მოთხოვნით შუამდგომლობა შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასჯელი არ აღემატება ექვს თვეს და/ან არსებობს განსაკუთრებული გარემოებები.

## COVID-19-ის პანდემიის გავლენა

### ზოგადი მიმოხილვა

ვინაიდან პანდემიის პირველი წლის განმავლობაში პენიტენციურ სისტემაში მკაცრი შემზღუდავი ღონისძიებების გატარების გამო, შესაძლებელი გახდა COVID-19-ის შეკავება და პანდემიასთან დაკავშირებული სიტუაციის გარკვეულწილად ეფექტიანი მართვა, სავარაუდოდ, ამის გამო საქართველოს ხელისუფლებას განსაკუთრებულად არ აუმოქმედებია არც ალტერნატიული სასჯელები და არც გათავისუფლების მექანიზმები. შესაძლოა ამით აიხსნას, თუ რატომ არ დაფიქსირდა 2020 წელს გათავისუფლების რაოდენობის მკვეთრი გაზრდა ან საპატიმრო სასჯელის მნიშვნელოვნად შემცირებული გამოყენება (შედარებითი სტატისტიკა 2020-2021/ივნისში იხილეთ დანართში, ცხრილი 1). ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2020 წელს თავისუფლების აღკვეთის საშუალო გამოყენებამ შეადგინა ყველა სასჯელის 27,4%, რაც ოდნავ შემცირდა 22,8%-მდე 2021 წლის პირველ ექვს თვეში. ამავე ვადაში მცირედ გაიზარდა პირობითი სასჯელის გამოყენება და შეადგინა გამოყენებული სასჯელების 50% 2020 წელს, ხოლო 2021 წლის დასაწყისში - 55%.

საქართველოს ციხეებში COVID-19 პირველად ოფიციალურად დაფიქსირდა მხოლოდ 2020 წლის ბოლოს, ამავე პერიოდში პატიმრებს შორის COVID-19 სიკვდილის პირველი შემთხვევის შესახებაც გახდა ცნობილი. კანონი ამნისტიის შესახებ მიღებულ იქნა 2021 წლის 11 იანვარს და ეხებოდა 2020 წლის 11 დეკემბრამდე ჩადენილ ზოგიერთ დანაშაულს. ამნისტიის შედეგად თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების ნაწილი გათავისუფლდა, ნაწილს - შეუმცირდა საპატიმრო სასჯელის ვადა, ან შეეცვალა

უფრო მსუბუქი სასჯელით - არასაპატიმრო ალტერნატივებით. ამას დიდი გავლენა არ მოუხდენია ციხიდან გათავისუფლებულთა რაოდენობაზე, რომელმაც შეადგინა 254 მსჯავრდებული 2021 წლის იანვრიდან ივლისამდე პერიოდში.

### **პატიმრობის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება**

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თქმით, პანდემიის დროს არ მომხდარა განსაკუთრებული ცვლილებები სასჯელმეფარდების სამოსამართლო პრაქტიკაში, გარდა იმისა, რომ სასამართლო სხდომების ჩატარება, ძირითადად, ონლაინ ფორმატში განხორციელდა. რესპონდენტის ცნობით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გამართა სხდომა, სადაც შეიმუშავეს სასამართლო პროცესების ონლაინ წარმოებასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების თაობაზე სახელმძღვანელო მითითებები. სისხლის სამართლის კოლეგიამ ასევე განაგრძო მუშაობა რეგულარულ რეჟიმში, ერთადერთი ცვლილება იყო ონლაინ მოსმენებზე გადასვლა და ამ მხრივ სტანდარტებისა და პრაქტიკული მიდგომების შემუშავება.

მხოლოდ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სხდომები გაგრძელდა სასამართლო დარბაზებში მრავალი მხარის ჩართულობისა და ამ სპეციფიკის გათვალისწინებით ონლაინ მუშაობის რეჟიმში გადასვლის სირთულის გამო.

რესპონდენტი მოსამართლის თქმით, ონლაინ სასამართლო სხდომების ჩატარებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ერთის მხრივ, ის ამცირებს საქმის განხილვისთვის საჭირო დროს და იძლევა საშუალებას, რომ უფრო ფართო გეოგრაფიული არეალი იქნეს მოცული, რადგან მხარეებს შეუძლიათ მონაწილეობა ქვეყნის ნებისმიერი კუთხიდან. თუმცა, მეორე მხრივ, არის ტექნიკური ხარვეზები და დარღვევები, რაც ხელს უშლის საქმის წარმოებას. ზოგჯერ მხარეებს არ აქვთ მობილური ტელეფონები ან კომპიუტერები, რომლებიც მათ დაკავშირების საშუალებას მისცემს, ან ინტერნეტთან კავშირი ხშირად პრობლემას წარმოადგენს. როდესაც ბრალდებულები პატიმრობაში რჩებიან, პროცესზე ხშირად გავლენას ახდენს ინტერნეტ კავშირის პრობლემები ან ტექნიკური საკითხები, და ზოგჯერ მოსამართლეებს ასევე უწევთ ლოდინი, სანამ პატიმრები მიიღებენ წვდომას ციხის თითოეულ დაწესებულებაში არსებულ რამდენიმე კომპიუტერზე (რადგან ისინი ასევე გამოიყენება სხვა მიზნებისთვის, როგორცაა ვიდეო პაემნები, პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოების ონლაინ სხდომები და ა.შ.).

შინაპატიმრობა აქტიურად გამოიყენება სასჯელის სახით პირველად ნასამართლევ და არაძალადობრივ დანაშაულებში ბრალდებულ პირებთან მიმართებაში და ეს პრაქტიკა გრძელდებოდა მთელი პანდემიის განმავლობაში. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით (იხ. დანართი) სასჯელის ეს სახე უფრო ხშირად გამოიყენება საპატიმრო სასჯელის მოუხდელი ნაწილის ჩასანაცვლებლად, ვიდრე სასჯელის მეფარდებისას.

რესპონდენტი მოსამართლის თქმით, პანდემიის გავლენა უმნიშვნელოა სასჯელის მოხდის გადავადების ან სასჯელის მოხდისგან ვადამდე გათავისუფლების პრაქტიკაზე (ჯანმრთელობის მდგომარეობის, ორსულობის და ა.შ. საფუძველზე) და მიყვება ჩვეულ სასამართლო პრაქტიკას და სისხლის სამართლის საქმეების განხილვის სტანდარტებს. ამას ადასტურებს ოფიციალური სტატისტიკა (იხილეთ დანართი).

**ვადამდე გათავისუფლების მექანიზმები (პირობით ვადამდე გათავისუფლება, სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა) და პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვება**

პანდემიის მიუხედავად, პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივი საბჭოები განაგრძობდნენ მუშაობას და მსჯავრდებულთა შუამდგომლობების განხილვას. საბჭოს აპარატი განაგრძობდა პატიმრების, მათი ადვოკატების ან მათი ოჯახის წევრების შუამდგომლობების მიღებას და დროულად რეაგირებას. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ გამოიცა ნორმატიული აქტი (პირობით მსჯავრდებულთა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირთა მიმართ კანონმდებლობით დადგენილი რეჟიმის დაცვის ზოგადი პროცედურებისგან განსხვავებული დროებითი წესის განსაზღვრის თაობაზე) რის საფუძველზეც, საბჭოები გადავიდნენ მუშაობის სპეციფიკურ რეჟიმზე. დისტანციურ მუშაობასთან ერთად, მოხდა საბჭოს სხდომების ადაპტირება და დაინერგა ზეპირი სხდომების ვიდეოკავშირის საშუალებათა გამოყენებით ჩატარების პრაქტიკა, რამაც საბჭოს წევრებს მისცა შესაძლებლობა კვლავაც უშუალოდ გასაუბრებოდნენ მსჯავრდებულებს. დროებითი წესის მოქმედების ფარგლებში გაიზარდა თვის განმავლობაში საბჭოს მიერ გამართული სხდომების რაოდენობა, რაც რესპონდენტისგან მოწოდებული ინფორმაციით, დადებითად აისახა მსჯავრდებულთა გათავისუფლების პროცესზე, შესაბამისად სტატისტიკაზეც.

პანდემიის დროს ორი ცვლილება განხორციელდა იუსტიციის მინისტრის N320 ბრძანებაში (2018 წლის 7 აგვისტო) „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“. პირველი ცვლილება განხორციელდა 2020 წლის 27 მარტს (მოქმედებდა 2020 წლის 1 აგვისტომდე) და მორიგი ცვლილება 2021 წლის 20 იანვარს (მოქმედებდა 2021 წლის 1 მარტამდე). ცვლილების მიხედვით, პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე პატიმრის თითოეული განცხადების განხილვა შესაძლებელი იყო სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ დადგენილი პერიოდულობით, განმცხადებლის თანხმობით, არანაკლებ ყოველ ექვს თვეში ერთხელ. ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე უარის თქმის ან სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ განაცხადის შეტანა შეიძლება ხელახლა, განაცხადზე უარის წინა გადაწყვეტილების მიღებიდან სამი კვირის შემდეგ, ჩვეული ექვსთვიანი ვადის ნაცვლად.

ცვლილების თანახმად, საბჭოს მიერ მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვა შესაძლებელი იყო სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ განსაზღვრული პერიოდულობით, მსჯავრდებულის თანხმობით, მაგრამ არანაკლებ ყოველ 6 თვეში ერთხელ. ამასთან, საბჭოს მიერ სასჯელის მოხდისაგან მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების ან მისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, იმავე საკითხზე შუამდგომლობის ხელახალი განხილვა დასაშვებია იყო გადაწყვეტილების მიღებიდან **3 კვირის** შემდეგ. ის პირები, რომელთა მიმართაც აღნიშნული წესის ამოქმედებამდე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლაზე უარის თქმის შესახებ, უფლებამოსილნი იყვნენ, შუამდგომლობით მიემართათ საბჭოსთვის ამ ვადის დაუცველად. დროებითი წესით განსაზღვრული შეღავათები, აგრეთვე ვრცელდებოდა არასრულწლოვან მსჯავრდებულებზეც.

რესპონდენტის ცნობით, ქალები და არასრულწლოვნები განიხილება პრიორიტეტულ ჯგუფად პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განსახილველად, რაზეც ასევე მეტყველებს ცალცალკე სპეციალური საბჭოების არსებობა მსჯავრდებულთა ამ ორ ჯგუფთან მიმართებაში. ოჯახური პირობები ერთ-ერთი კრიტერიუმია, რომელსაც ადგილობრივი საბჭოები ვადაზე ადრე გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას იყენებენ. ეს მართლაც მნიშვნელოვანი კრიტერიუმია და საბჭოები მას აფასებენ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. ოჯახური პირობების შეფასებისას ადგილობრივი საბჭოები იყენებენ ინდივიდუალურ მიდგომას და ითვალისწინებენ ინდივიდის დამოკიდებულებას ოჯახის წევრების მიმართ, ასევე ჰყავს თუ არა მსჯავრდებულს მცირეწლოვანი შვილები და მათი რაოდენობა, არიან თუ არა ოჯახის წევრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, როგორია ახლობლების მატერიალური მდგომარეობა. ნათესავები და ა.შ. პანდემიის დროს ამ კრიტერიუმს დამატებითი ყურადღება ექცეოდა, რადგან ოჯახურ პირობებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია COVID-19-ის ეპიდემიამ ქვეყანაში.

პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების გადაწყვეტილებები ზოგჯერ მიიღება ზეპირი მოსმენების გარეშე, რომლებიც ტარდება ძირითადად მაშინ, როდესაც ადგილობრივ საბჭოებს სჭირდებათ დამატებითი ინფორმაციის მიღება, მსჯავრდებულთან გასაუბრების გზით. ამასთან, საბჭოს სხდომები სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით (მაგალითად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან შინაპატიმრობით) შეცვლის შესახებ მხოლოდ ზეპირი მოსმენით იმართება.

ზეპირი მოსმენების დროს საბჭოებს, როგორც წესი, აქვთ პირისპირ გასაუბრება მსჯავრდებულთან, თუმცა პანდემიის გამო მინისტრის ბრძანებით ზოგად წესებში განხორციელებული ნორმატიული ცვლილებებიდან (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანების მე-18 მუხლი, ვიდეოკავშირის საშუალებათა გამოყენებით ზეპირი მოსმენის ჩატარების წესი) გამომდინარე ზეპირი მოსმენის სხდომები ტარდება დისტანციურად, ვიდეოკავშირის საშუალებათა გამოყენებით. ამ ფორმით, საბჭომ შეძლო შეენარჩუნებინა, მსჯავრდებულთან უშუალოდ გასაუბრების შესაძლებლობა.

აპარატის ცნობით, იმ პერიოდებში, როდესაც დროებითი წესები მოქმედებდა, თვეში საბჭოს მიერ ჩატარებული სხდომების რაოდენობა გაიზარდა, რაც აისახა გათავისუფლებების რაოდენობაზე. საბჭოების გადაწყვეტილებით თავისუფლების აღკვეთით სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების წილი შეადგენდა ყველა გათავისუფლების დაახლოებით 40%-ს ბოლო სამი წლის განმავლობაში.

ადგილობრივი საბჭოების აპარატის მიერ მოწოდებული მონაცემებით (მონაცემები იხილეთ ქვემოთ), პანდემიის დროს გაიზარდა ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების ან მოუხდელი ნაწილის შეცვლის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა.

2018 წელს გათავისუფლებული 3213 პირიდან 2309-მა სასჯელი სრულად მოიხადა, ხოლო 904 (28,1%) ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილებით გათავისუფლდა. 2019 და 2020 წლებში პირობით ვადამდე ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლით გათავისუფლებული პირების წილი მნიშვნელოვნად მაღალი იყო: 2019 წელს გათავისუფლებული 3721 პირიდან 2199-მა სრულად მოიხადა სასჯელი, ხოლო ადგილობრივმა საბჭოებმა გაათავისუფლეს 1522 მსჯავრდებული (40,9%). 2020 წელს

გათავისუფლებული 3466 მსჯავრდებულისა და 2091-მა სასჯელი სრულად მოიხადა, ხოლო ადგილობრივმა საბჭოებმა 1375 პირი (39,6%) გაათავისუფლეს.

2020 წელს ადგილობრივ საბჭოებში განხილული იქნა 9411 შუამდგომლობა, საიდანაც დაკმაყოფილდა და პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლდა 1375 მსჯავრდებული, არ დაკმაყოფილდა 8036 შუამდგომლობა. (2019 წელთან შედარებით დაკმაყოფილდა 9,6 პროცენტით ნაკლები და 52 (ორმოცდათორმეტი) პროცენტით მეტი, ვიდრე 2018 წელს).

აქედან :

-პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან დაკავშირებით განხილული იქნა 6067 შუამდგომლობა, საიდანაც დაკმაყოფილდა და სასჯელადსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლდა - 830 მსჯავრდებული, არ დაკმაყოფილდა 5237 შუამდგომლობა.

- სასჯელის მოუხდელი ნაწილის შინაპატიმრობით შეცვლის შესახებ განხილული იქნა 2407 შუამდგომლობა, საიდანაც დაკმაყოფილდა და სასჯელადსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლდა - 408 მსჯავრდებული, არ დაკმაყოფილდა 1999 შუამდგომლობა.

-სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის შესახებ განხილული იქნა 937 შუამდგომლობა, საიდანაც დაკმაყოფილდა და სასჯელადსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლდა 137 მსჯავრდებული, არ დაკმაყოფილდა 800 შუამდგომლობა.

ადგილობრივი საბჭოების მიერ გათავისუფლებულ მსჯავრდებულთა დაახლოებით 67 %-ის საკითხი დადებითად გადაწყდა პირველივე განხილვაზე; 19 %-ის საკითხი დადებითად გადაწყდა მე-2 განხილვაზე, 11%-ის საკითხი დადებითად გადაწყდა მე-3 განხილვაზე, ხოლო 3 %-ის საკითხი დადებითად გადაწყდა შემდეგ განხილვებზე.

ადგილობრივი საბჭოების აპარატის ცნობით, ზეპირი მოსმენის სხდომების ჩატარება ვიდუოკავშირის საშუალებით საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა პრაქტიკაში. აქედან გამომდინარე, მისი ოფიციალური შემოღება, როგორც ზეპირი მოსმენების ჩატარების პლატფორმა, საშუალებას მისცემს საბჭოებს გაესაუბრონ მეტ პატიმარს, რაც გააუმჯობესებს საბჭოების მუშაობის ხარისხს და ეფექტურობას. თუმცა აქვე გასათვალისწინებელია, თუ როგორი იქნება ვიდუოკავშირის ხარისხი და ის თუ რამდენად იძლევა მხარეთა ადეკვატური მონაწილეობისა და მხედველობითი თუ სმენითი მონაცემების სრულად აღქმის საშუალებას.

რესპონდენტთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სასჯელის მოხდისგან გათავისუფლებამდე მსჯავრდებულებს მიეწოდებათ გარკვეული ინფორმაცია პანდემიის, პრევენციის ღონისძიებების შესახებ და ასევე პირბადეები. ციხის გამოცდილების მქონე რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ გათავისუფლებამდე მიაწოდეს ინფორმაცია და მოუწოდეს სიფრთხილისკენ.

ზოგიერთ რესპონდენტ ბენეფიციარს არ მიუღია პირადი დაცვის საშუალებები/პირბადეები, ზოგიერთმა კი თქვა, რომ მათ მიიღეს ნიღბები გათავისუფლებისთანავე და ასევე ჩაუტარდა COVID ტესტები (სწრაფი ანტიგენის და PCR ტესტები) გათავისუფლების წინ. ზოგიერთს გადაეცა პირბადეები და ხელის სადუზინფექციო საშუალებები არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, რომელიც ასევე ატარებს ტრენინგ კურსებს და თავმესაფარში დახმარებას უწევს უსახლკარო ყოფილ

მსჯავრდებულ ქალებს. ერთ-ერთმა რესპონდენტმა თქვა, რომ კარგი იქნება, თუ მათ პრობაციის სამსახურიც დაურიგებს პირბადეებს (როგორც პენიტენციური სამსახური).

*„ინფორმაცია მივიღე პანდემიაზე და მომიწოდეს სიფრთხილისკენ“.*

### პანდემიის დროს ციხიდან გათავისუფლებული რესპონდენტი

ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვება აიკრძალა პანდემიის დროს, განსაკუთრებით 2020 წელს, საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით. არცერთი პატიმარს არ უსარგებლია დაწესებულების დროებითი დატოვების უფლებით განსაკუთრებული პირადი გარემოებების გამო ოჯახის წევრების დაკრძალვაზე დასასწრებად. არც სასამართლო სხდომებზე დასასწრებად ყოფილა დაწესებულებებიდან გაყვანები.

### პანდემიის გავლენა პრობაციის ეროვნული სააგენტოს და მისი ბიუროების მუშაობაზე და სერვისების მიწოდებაზე

#### COVID-19-ზე რეაგირებისა და გავრცელების შესაჩერებლად მიღებული ზომები

პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ COVID-19-ის პანდემიის საპასუხოდ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, რომლის შესაბამისად განხორციელდა ცვლილებები არასაპატიმრო სასჯელებისა და ღონისძიებების აღსრულების პროცესში. სერვისების მიწოდებაში ან გამოცხადების ვალდებულებაში ცვლილებების შესახებ მსჯავრდებულების ინფორმირების მიზნით, ყველა მათგანს გაეგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინება, ასევე გამოყენებული იქნა ცხელი ხაზი და ელექტრონული ფოსტით კომუნიკაცია. სააგენტოსა და ბიუროების თანამშრომლებს რეგულარულად მიეწოდებოდათ საჭირო ინფორმაცია ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

პანდემიის დასაწყისში, როდესაც საქართველოში COVID-19 პირველად დაფიქსირდა, პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ შეაჩერა პრობაციის ბიუროებში მსჯავრდებულთა გამოცხადების ვალდებულება და პრობაციის პერსონალი გადაიყვანა დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე, რათა მინიმუმამდე ყოფილიყო დაყვანილი ვირუსის გავრცელების რისკი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პრობაციის სამსახურში აღრიცხვაზე მყოფი ზოგიერთი მსჯავრდებული, სავარაუდოდ ისინი, ვისაც არ ჰქონდა საკომუნიკაციო საშუალება ან არ ამოწმებდა მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს ტელეფონში, ზოგჯერ მიდიოდა პრობაციის ბიუროში და ადგილზე იგებდა, რომ არ ქონდა გამოცხადების ვალდებულება, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ ეცნობა აღნიშნულის შესახებ.

გარკვეული დროით შეჩერდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულებაც. დახმარებისა და ზედამხედველობის გარკვეული ხარისხით შენარჩუნების მიზნით, პრობაციის ოფიცრები და სოციალური მუშაკები ატარებდნენ მსჯავრდებულთან ბინაზე ვიზიტებს, რათა შეემოწმებინათ ის მსჯავრდებულები, რომლებსაც მიკუთვნებული ქონდათ მაღალი რისკი (განსაკუთრებით ისინი, ვინც მსჯავრდებული იყო ძალადობრივ დანაშაულებში, მათ შორის ოჯახურ დანაშაულებში/ძალადობაში). ფსიქოლოგები ჩართული იყვნენ „კრიზისული შემთხვევების“, ე.ი. სუიციდური და თვითდაზიანების მიდრეკილებების მქონე მსჯავრდებულების მართვაში. პრობაციის სამსახური უზრუნველყოფდა, რომ მათ, ვისაც ესაჭიროებათ სერვისების უფრო



ინტენსიურად მიწოდება, მოინახულებდნენ ყოველკვირეულად, რეგულარულად. საწყის ეტაპზე მხოლოდ პრობაციის ბიუროების ხელმძღვანელები ინარჩუნებდნენ სამსახურში სიარულის ვალდებულებას, ჩვეულებისამებრ, ადმინისტრაციული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით (მათ შორის, წერილების მიღება და ზოგიერთი გადაუდებელი სერვისის მიწოდების უზრუნველყოფა).

ციხეებში ვიდუოპაემნის სერვისები პანდემიის განმავლობაში შეუფერხებლად მუშაობდა. ეს პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული, რადგან ბევრი პატიმრისთვის ვიდუო კავშირი იყო ოჯახთან დაკავშირების ერთადერთი საშუალება, საგანგებო მდგომარეობის დროს მკაცრი შეზღუდვების მოქმედების პირობებში. მსჯავრდებულთა ოჯახის წევრები პრობაციის ბიუროებში ფეხითაც კი მიდიოდნენ ვიდუოპაემნებისთვის, როცა საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ მუშაობდა.

იუსტიციის მინისტრმა გამოსცა ორი ბრძანება, რომლითაც დარეგულირდა პრობაციონერებისა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულთა პრობაციის ბიუროებში გამოცხადების ვალდებულება პანდემიის საწყის ეტაპზე. საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის საფუძველზე მოცემული მინისტრის N 522 ბრძანებით<sup>15</sup>, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე, პირობით მსჯავრდებულები [პრობაციონერები] და პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირები გათავისუფლდნენ „პრობაციის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით და პრობაციის ოფიცრის მიერ დადგენილი რეჟიმით რეგისტრაციისა და აღრიცხვაზე აყვანის მიზნით გამოცხადების ვალდებულებისაგან. აღნიშნული ბრძანებით პრობაციის ბიუროებს ასევე დაეკისრათ ვალდებულება განეხორციელებინათ პრობაციონერებისა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირთა პერიოდული კონტროლი მათ საცხოვრებელ მისამართზე, პრობაციის ოფიცრის მიერ წინასწარი სატელეფონო შეტყობინების შემდეგ. NCDC-ის რეკომენდაციით დაცული უნდა ყოფილიყო COVID-ის წესები და რეგულაციები. ეს ბრძანება ასევე ითვალისწინებდა ჯარიმას იმ შემთხვევაში, თუ პრობაციონერი ან პირობით მსჯავრდებული არ იმყოფებოდა სახლში პრობაციის ოფიცრის ვიზიტის დროს.

მსჯავრდებულები, რომლებიც საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის ვადის ამოწურვის მიუხედავად ვერ მოახერხებდნენ საქართველოში დაბრუნებას მსოფლიოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, თავისუფლდებოდნენ კანონით დადგენილი ვალდებულებისაგან.

იუსტიციის მინისტრის N545<sup>16</sup> ბრძანებით დადგინდა წესები და რეჟიმი პრობაციის ბიუროებში გამოცხადების განახლების შესახებ გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულისა და ოჯახში ძალადობის ჩადენისათვის პირობით მსჯავრდებული და პირობით ვადამდე გათავისუფლებული პირების მიერ 2020 წლის 15 ივლისამდე.

2020 წლის სექტემბრის ბოლოს COVID-19-ის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო აჭარის რეგიონში, რაც ზაფხულის ტურისტულ სეზონს უკავშირდებოდა. ამასთან დაკავშირებით იუსტიციის მინისტრმა საქართველოში კორონავირუსის შემდგომი

<sup>15</sup> „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით პირობით მსჯავრდებულთა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირთა მიმართ კანონმდებლობით დადგენილი რეჟიმის დაცვის განსხვავებული წესის განსაზღვრის თაობაზე“, გამოიცა 2020 წლის 16 აპრილს

<sup>16</sup> იუსტიციის მინისტრის N 545 ბრძანება (გამოიცა 2020 წლის 25 მაისს), პირობით მსჯავრდებულთა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირთა მიმართ კანონმდებლობით დადგენილი რეჟიმის დაცვის ზოგადი პროცედურებისგან განსხვავებული დროებითი წესის განსაზღვრის თაობაზე

გავრცელების პრევენციის ხელშეწყობის მიზნით გამოსცა კიდევ ერთი ბრძანება N637<sup>17</sup>, რომლითაც განისაზღვრა კანონით დადგენილი რეჟიმის დაცვის განსხვავებული წესი, რომელიც შეეხო მხოლოდ აჭარის და გურიის პრობაციის ბიუროებს. N637-ე ბრძანების შინაარსი და დადგენილი წესი N522 ბრძანების მსგავსი იყო. ანალოგიური მიზეზით გამოიცა მინისტრის N 680<sup>18</sup> ბრძანება, რომელიც მოიცავდა თბილისის, იმერეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების ბიუროებს, თავდაპირველად ერთი თვის ვადით, შემდეგ კი 2020 წლის 15 თებერვლამდე<sup>19</sup>), ქვეყანაში COVID-19-თან ბრძოლის მიზნით დაწესებული ზოგადი შეზღუდვების შესაბამისად.

პანდემიის განმავლობაში პრობაციის ბიუროები ითვალისწინებდნენ ჯანდაცვის სამინისტროს რჩევებსა და რეკომენდაციებს უსაფრთხოების ზომების შესახებ და მკაცრად იცავდნენ საჯარო ხელისუფლების მიერ დაწესებულ შეზღუდვებსა და მითითებებს. ჩაკეტვისა და საქალაქთაშორისო მგზავრობისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადაადგილების შეზღუდვის დროს, პრობაციაში აღრიცხვაზე მყოფი მსჯავრდებულები გათავისუფლდნენ ბიუროებში ყოველკვირეული გამოცხადების ვალდებულებისგან. თუმცა მათთან სარეაბილიტაციო სამუშაოები დისტანციურ რეჟიმში გაგრძელდა.

2020 წლის ნოემბერში პრობაციის ბიუროები მუშაობდნენ დისტანციურად სარეაბილიტაციო სერვისების მიწოდების კუთხით, ასევე ონლაინ რეჟიმში ატარებდნენ შეფასების ინტერვიუებს (მსჯავრდებულთა რისკებისა და საჭიროებების შეფასების მიზნით). 2020 წლის დეკემბრიდან მოქმედებდა მუშაობის ჰიბრიდული რეჟიმი, რომლის პირობებში თანამშრომელთა ნაწილი მუშაობდა დისტანციურად, სხვები კი პრობაციის ბიუროებში დადიოდა სამუშაოდ. პრობაციის ოფიცრები ორ კვირაში ერთხელ მონაცვლეობით დადიან ბიუროებში სამუშაოდ, დანარჩენები დისტანციურ რეჟიმში მუშაობენ. ხოლო ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები კვირაში ორი დღე დადიან ოფისში და დანარჩენი პერიოდი თავიანთ სამუშაოს ონლაინ რეჟიმში ასრულებენ.

## ადაპტაციისთვის საჭირო დრო და ძალისხმევა

პრობაციის სამსახურის წარმომადგენელი გამოკითხული რესპონდენტების თქმით, პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ სწრაფად მოახდინა რეაგირება კრიზისულ სიტუაციასა და მზარდ რისკებზე და დაახლოებით ორი კვირა დასჭირდა ყველა საჭირო ადაპტაციას. უკვე 2020 წლის მარტში სამსახურმა გადაიყვანა თავისი პერსონალი დისტანციურ მუშაობაზე და მსჯავრდებულები გათავისუფლდნენ პრობაციის ბიუროში

<sup>17</sup> ბრძანება N637, გამოცემულია 2020 წლის 2 ოქტომბერს, საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს – აჭარისა და გურიის დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს სამოქმედო ტერიტორიის ნაწილში პირობით მსჯავრდებულთა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირთა მიმართ კანონმდებლობით დადგენილი რეჟიმის დაცვის განსხვავებული წესის განსაზღვრის შესახებ

<sup>18</sup> იუსტიციის მინისტრის ბრძანება N680, გამოცემულია 2021 წლის 2 თებერვალს, „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოების - თბილისის, იმერეთისა და ქვემო ქართლის დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროების სამოქმედო ტერიტორიებზე პირობით მსჯავრდებულთა და პირობით ვადამდე გათავისუფლებულ პირთა მიმართ კანონმდებლობით დადგენილი რეჟიმის დაცვის განსხვავებული წესის განსაზღვრის შესახებ“

<sup>19</sup> ცვლილება განხორციელდა იუსტიციის მინისტრის N685-ე ბრძანებით (გამოცემული 2021 წლის 10 თებერვალს) N680-ე ბრძანებაში

გამოცხადების ვალდებულებისგან. ჯანდაცვის სამინისტროს მითითებები უსაფრთხოების ზომებისა და შეზღუდვების შესახებ მკაცრად იყო დაცული.

როგორც კი ახალი შეზღუდვები ცხადდებოდა საჯარო უწყებების მიერ COVID-19-ის ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუარესების ან გაუმჯობესების საპასუხოდ, პრობაციის ეროვნული სააგენტო მუშაობის რეჟიმში შესაბამის კორექტირებას ახდენდა და წერილობით ინსტრუქციებს აწვდიდა თანამშრომლებს ცენტრალურ აპარატში და ტერიტორიულ ბიუროებში მუშაობის რეჟიმის ცვლილების შესახებ.

პრობაციის ეროვნული სააგენტოს მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტმა არასრულწლოვანთა რეფერალურ ცენტრთან ერთად შეიმუშავა მცირე გზამკვლევი პრობაციონერების რეაბილიტაციის პროცესის დასარეგულირებლად პანდემიის პირობებში. პარალელურად, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესიული ზედამხედველები და მენეჯერები მუდმივ კონტაქტზე იყვნენ დეპარტამენტის სპეციალისტებთან, რათა გაეგოთ რა გამოწვევების წინაშე დგანან, მიეწოდებინათ პროფესიული კომუნიკაცია და რჩევები. ინსტრუქციები მიეცა პერსონალს, თუ როგორ უნდა ემუშავათ მსჯავრდებულებთან კრიზისულ სიტუაციებში, კონკრეტულად აღნიშნეს ისინი, ვინც მიდრეკილია თვითდაზიანებისკენ ან თვითმკვლელობის რისკის ქვეშ არიან. ინსტრუქცია ითვალისწინებდა ასეთი გამოკვეთილი საჭიროების მქონე ჯგუფებისთვის მხარდაჭერისა და მონიტორინგის სერვისების უფრო ინტენსიურად მიწოდებას, პირისპირ შეხვედრების ჩატარებას პრობაციის ბიუროებში ან მიმდებარე ღია სივრცეში, საჭიროებისამებრ. კრიზისულ შემთხვევებზე რეაგირების გარდა, ინსტრუქციები ასევე მოიცავდა ზოგადად მსჯავრდებულებისთვის დისტანციური სერვისების მიწოდებას, მათ შორის პროფესიული ეთიკისა და ბენეფიციარის კონფიდენციალობის საკითხებს (მაგ. არაავტორიზებული ჩაწერის პრევენცია, განრიდებისა და წინასწარი შეფასების ინტერვიუების მხოლოდ ერთი-ერთზე ჩატარება).

გარდა ამისა, ჩატარდა ონლაინ ტრენინგების სერია სააგენტოს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგებისთვის, ბენეფიციარებთან დისტანციური მუშაობის უნარების განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით.

### კრიზის-მენეჯმენტი

სააგენტოში შეიკრიბა მენეჯმენტის გუნდი, რომელიც შედგებოდა ხელმძღვანელი რგოლის წარმომადგენლებისგან, რომელმაც უზრუნველყო წერილობითი ინსტრუქციების გაცემა და პროფესიონალური ზედამხედველობის გაწევა მისთვის დაქვემდებარებული პერსონალისთვის და ორგანიზებას უწევდა განსაკუთრებული რისკის მქონე მსჯავრდებულების მეთვალყურეობას. პრობაციის პერსონალმა კრიზისზე რეაგირებისთვის ძალისხმევა კიდევ უფრო გაზარდა და ზოგიერთი ბენეფიციარის წინაშე მდგარი გადაუდებელი ჰუმანიტარული საჭიროებების მოგვარებაზე იზრუნა. აღნიშნული აქციის ფარგლებში დახმარება გაეწიათ იმ მსჯავრდებულებს და მათ ოჯახებს, ვინც სოციალურ-ეკონომიკურ გაჭირვებას განიცდიდა, უმუშევრებს, მრავალშვილიან პრობაციონერთა ოჯახებს მცირეწლოვანი შვილებით, შეზღუდული შესაძლებლობის ან ავადმყოფობის გამო გადაადგილების/მოძილობის პრობლემების მქონე პირებს. ინსტიტუციური დაფინანსების უქონლობის გამო აღნიშნული საქველმოქმედო აქცია ჩატარდა პრობაციის პერსონალის მიერ შეგროვებული შემოწირულობებით.

## პანდემიის ზეგავლენა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულებაზე

ქვეყანაში, პანდემიის თავდაპირველი აფეთქების დროს, პრობაციონერების მსგავსად, ასევე არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული მსჯავრდებულები, გადავიდნენ მოლოდინის რეჟიმში, შემდგომ მითითებამდე, რათა მკაცრად ყოფილიყო დაცული, პანდემიის დასაწყისში დაწესებული მკაცრი შეზღუდვები. მოგვიანებით, ადაპტაციის ფაზაში, იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში, პანდემიის გავრცელების პრევენციის მიზნით, პერიოდულად ხდება მუნიციპალური და საქალაქთაშორისო ტრანსპორტის გადაადგილების შეზღუდვა, ასევე, დახურულ სივრცეში, შეიზღუდა პირთა რაოდენობა, პრობაციის ბიურო, დამსაქმებელი და მსჯავრდებული, ურთიერთგაგების ფორმატში, აგრძელებდნენ საზოგადოებისათვის სასარგებლოს შრომის აღსრულებას, რათა ერთის მხრივ არ შეფერხებულიყო სასჯელის აღსრულება და მეორეს მხრივ, დაცული ყოფილიყო მსჯავრდებულის უფლებები.

პანდემიის პერიოდში, თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ ბევრ პირს სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით და აღსრულება დიდი გამოწვევების წინაშე დადგა. ამ პირებიდან ბევრი ჯერ კიდევ იხდის ამ არასაპატიმრო სასჯელს. როდესაც COVID-19-თან დაკავშირებული შეზღუდვები დაწესდა საჯარო ხელისუფლების მიერ, აღნიშნულმა სანქციის ვადაზე იმოქმედა და შეჩერებამ განაპირობა მისი შესრულების დაგვიანება.

პანდემიის გამო COVID-19-ის გავრცელების პრევენციისთვის შესაბამისი სიფრთხილის ზომები იქნა მიღებული, მათ შორის, ხელშეკრულებების შეწყვეტა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის იმ მომწოდებლებთან, რომლებიც უსასყიდლო შრომაზე დახურულ შენობებში ასაქმებდნენ მსჯავრდებულებს. სააგენტომ შეინარჩუნა კონტრაქტები იმ დაწესებულებებთან, რომლებიც უზრუნველყოფდნენ უსასყიდლო სამუშაო ადგილებს ღია სივრცეში. მაგალითად, მერიის ოფისები უზრუნველყოფენ დასაქმებას მათ მუნიციპალურ სერვისებში, როგორცაა მუნიციპალური გამწვანების და დასუფთავების სერვისები, სადაც სამუშაოს ხასიათი საშუალებას აძლევს სამუშაოს შემსრულებლებს იყვნენ ღია ცის ქვეშ და დაიცვან ფიზიკური დისტანცია.

ღია სივრცეში ეს სამუშაო ადგილები შენარჩუნებულ იქნას იმისთვის, რომ იმ არასაპატიმრო სასჯელშეფარდებულ პირებს, რომელთაც დარჩენილი ჰქონდათ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის საათები გარკვეული ოდენობით, შეძლებოდათ სასჯელის მოხდის დასრულება. უმრავლესობამ სასჯელის დასრულება მოახერხა.

სამუშაო ადგილის შეზღუდული რაოდენობის გარდა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადაადგილების შეზღუდვამ, როგორც COVID-19-ის გავრცელების შესაჩერებლად მიღებულმა ზომამ. ამ პირობებში, მსჯავრდებულებისთვის და ასევე სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების პერსონალისთვის საკმაოდ რთული იყო სამუშაო ადგილზე მისვლა. მათ, ვისაც შეეძლო ფეხით სიარული ან საკუთარი მანქანებით გადაადგილდებოდა, მიეცა შესაძლებლობა გაეგრძელებინა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მოხდა სასჯელის მოთხოვნების შესასრულებლად. ეს არასტანდარტული მიდგომა უჩვეულო სიტუაციიდან გამომდინარე იქნა მიღებული. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის შეზღუდვის დროს სასჯელის აღსრულება შეიძლება გადაიღოს მანამ, სანამ მუნიციპალური ტრანსპორტის მუშაობა კვლავ აღდგება.

*“როდესაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი გაჩერებულია პანდემიის გამო, ჩვენ ვერ დავავალდებულებთ მსჯავრდებულებს, რომ გააგრძელონ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მოხდა.”*

### *პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი*

პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ დამატებით მოქნილი პირობები შესთავაზა მსჯავრდებულებს. მაგალითად, როდესაც მსჯავრდებულს არ შეეძლო სამუშაო დღეებში შეესრულებინა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, მას შესაძლებლობას აძლევდნენ ემუშავა შაბათ-კვირას, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონმდებლობით. ასევე მსჯავრდებულებისთვის ნებადართული იყო საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოს ადგილის შეცვლა, როდესაც ახალი დამსაქმებელი გამოჩნდებოდა მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილთან უფრო ახლოს.

პანდემიის დროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება ხორციელდებოდა არასაპატიმრო სასჯელშეფარებულ მსჯავრდებულთან ინდივიდუალური კონსულტაციების საფუძველზე. მაშინ როდესაც, პირობით მსჯავრდებულები მოკლე ტექსტური შეტყობინებებით იგებდნენ, როდის უნდა გამოცხადებულიყვნენ პრობაციაში და როდის არა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების შემთხვევაში, ინდივიდუალური მიდგომა იყო გამოყენებული, რათა დადგენილიყო ყველა გარემოება მსჯავრდებულის მიერ სამუშაოს შესრულების შესაძლებლობის შესახებ.

*რაც შეეხება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, ჩვენ გვქონდა ასეთი მიდგომა, რომ როგორც კი ერთი პირი დაასრულებდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით სასჯელის მოხდას, მეორეს ვაგზავნიდით იმავე სამუშაო ადგილზე. ჩვენ გვქონდა ასეთი შეთანხმება სამუშაო ადგილის მომწოდებელ პირებთან. პანდემიის დროს არ იყო საკმარისი სამუშაო ადგილები, რამაც გართულა აღსრულება. პრობაციის სამსახურის წარმომადგენელი*

### *საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის აღსრულების შეჩერება*

ზოგიერთი მსჯავრდებულის შემთხვევაში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება შეჩერდა, პრობაციის ოფიცრებსა და მსჯავრდებულებს შორის შეთანხმების საფუძველზე, რადგან სამუშაოს ხასიათი არ იძლეოდა მისი აღსრულების შესაძლებლობას „ლოკდაუნის“ ან საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერების დროს. ასეთ შემთხვევებში, როდესაც შეჩერებული იყო საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულება, სასჯელის ვადა შესაბამისად გრძელდებოდა.

პრაქტიკა მიჰყვებოდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობის მიერ გაცემულ საერთო ინსტრუქციას, რომელიც მოქმედებდა COVID-ის ეპიდემიის „ტალღის“ ან პიკის დროს. როდესაც მსჯავრდებული ასრულებდა საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოს, მას ეძლეოდა არჩევანი გადაეწყვიტა გააგრძელებდა თუ არა სასჯელის მოხდას თუ უნდა მომხდარიყო სასჯელის შეჩერება მანამ, სანამ გარემოებები და შეზღუდვების მოხსნა სასჯელის მოხდის დასრულებას შესაძლებელს გახდიდა.

## საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა პანდემიის დროს

სათემო პარტნიორობის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსასრულებლად მიწოდებული სამუშაო ადგილების ხასიათიდან გამომდინარე, პანდემიამ ზეგავლენა იქონია თანამშრომლობაზე. კონტრაქტები შეწყდა იმ დამსაქმებლებთან, რომლებიც ვერ უზრუნველყოფდნენ COVID-ის თვალსაზრისით უსაფრთხო სამუშაოებს, სადაც ვირუსის გავრცელების რისკი განსაკუთრებით მაღალი იყო, ან რომლებიც განსაკუთრებით ექვემდებარებოდა პანდემიის გამო დახურვას (მაგ. საბავშვო ბაღები).

იმ მსჯავრდებულებთან მიმართებით, ვინც განაგრძობდა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მოხდას, გათვალისწინებული იყო უსაფრთხოებისა და ფიზიკური დისტანციის ზომები სამუშაო ადგილის არჩევისას ან სხვა სამუშაოზე გადაყვანისას. თუმცა, პრობაციის ზოგიერთ ბიუროს გაუჭირდა ასეთი მოქნილობის გამოჩენა და შეაჩერა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით ყველა სასჯელის აღსრულება.

2021 წლის სექტემბერში იუსტიციის მინისტრმა ხელი მოაწერა რამდენიმე მემორანდუმს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან, რომელთა საფუძველზეც მსჯავრდებულები, რომლებიც იხდიან სასჯელს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით, უსასყიდლო სამუშაოებზე დასაქმდებიან მერიის გამწვანებისა და სხვა მუნიციპალურ სამსახურებში.

## პანდემიის გავლენა პრობაციის პერსონალზე და მათ კეთილდღეობაზე

პრობაციის პერსონალის სამუშაო საათებზე მნიშვნელოვნად იმოქმედა პანდემიასთან დაკავშირებით დაწესებულმა სხვადასხვა შეზღუდვამ. ზოგიერთ თანამშრომელს გაუჭირდა შეცვლილ სამუშაო გრაფიკთან ადაპტაცია, ზოგი კი ადაპტირდა და უფრო მოქნილად მიუდგა სამუშაოს.

გამოკითხულმა სოციალურმა მუშაკებმა და ფსიქოლოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ყველაფერს აკეთებდნენ თავიანთი ბენეფიციარების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ზოგიერთი მსჯავრდებული სწავლობს ან მუშაობს, ამის გათვალისწინებით დისტანციურმა მუშაობამ საშუალება მისცა სპეციალისტებს, რომ ინდივიდუალური ინტერვიუებისა და სესიების დრო გადაეტანა ოფიციალური სამუშაოს შემდეგ საათებში. ზოგიერთმა გამოკითხულმა თანამშრომელმა აღნიშნა, რომ გაუმჯობესდა სამსახურს გარეთ მათი ცხოვრება, რადგან უკეთესად შეუძლიათ მართონ საკუთარი დრო და უფრო ეფექტურად იმუშაონ, რათა მინიმუმამდე დაიყვანონ პროფესიული გადაწვა. თუმცა, აღიარეს, რომ „ჩაკეტვისა“ და კომენდანტის საათის მოქმედების პერიოდში განსაკუთრებით რთული იყო განრიგის დარეგულირება და პირადი ცხოვრებისთვის დროის გამონახვა, რადგან მათ ხშირად უწევდათ სახლიდან დიდი დროს გვიან დამემდე მუშაობა შემთხვევების დიდი რაოდენობის და შესაბამისი დატვირთვის გამო.

*„ყველაზე დადებითი ის იყო, რომ ჩვენ მოგვეცა თავისუფლება და არჩევანი, რომ დაგვერეგულირებინა სამუშაო განრიგი, საჭიროებისამებრ, და შევუსაბამეთ ერთმანეთს სამუშაო და ოჯახის საჭიროებები. ბავშვის დატოვების პრობლემა არ მაქვს.“*

### *პრობაციის სამსახურის წარმომადგენელი*

თანამშრომლები, რომლებსაც ყავთ მცირეწლოვანი ბავშვები განიცდიდნენ პანდემიის ზემოქმედებას საბავშვო ბაღების დროებით პერიოდული დახურვის გამო. თუმცა, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობის მიერ ნებადართული სამუშაო საათების მოქნილობა დაეხმარა მათ ბავშვზე ზრუნვის საკითხის მოგვარებაში.

თბილისის ბიუროს თანამშრომლებს გადაადგილების შეუძლავა ნაკლებად შეეხოთ, რადგან სააგენტოს კუთვნილი მანქანები და მძღოლები ემსახურებოდნენ სოციალურ მუშაკებს და დაჰყავდათ ისინი სასამართლოებში, პროკურატურაში, ოფიციალურ შეხვედრებსა და მსჯავრდებულებთან ბინაზე ვიზიტებზე.

ჩაკეტვის („ლოკდაუნის“) დროს, როდესაც კომენდანტის საათი იყო დაწესებული, პრობაციის ბიუროში ზოგჯერ გვიან საათებში იმართებოდა შეხვედრები და სააგენტოს ხელმძღვანელობამ მოიპოვა სპეციალური ოფიციალური სამვი პერსონალისთვის, რათა მათ შეძლებოდათ შეხვედრებზე დასწრება.

*„თავიდან, რა თქმა უნდა, ამ ყველაფერმა დიდი დაბნეულობა გამოიწვია, რადგან არავის ქონდა დისტანციურად მუშაობის გამოცდილება, მოკში ვიყავით. ვფიქრობდით როგორ შეიძლება სოციალურმა მუშაკმა გასაუბრება ან სესია, ზოგადად, ნებისმიერი სახის შეხვედრა ან შეფასება ჩაატაროს დისტანციურად. არავინ ელოდა, რომ პანდემია ამდენ ხანს გაგრძელდებოდა, ყველას გვეგონა, რომ ორ კვირაში სამსახურში დავბრუნდებოდით. აპრილის ბოლოდან მაისის ჩათვლით, ყოველი თვის ბოლოს, გვეგონა, ისევ სამსახურში დავკვიბარებდნენ“.*

### *პრობაციის სამსახურის წარმომადგენელი*

პირველი ორი კვირის განმავლობაში, მას შემდეგ რაც პერსონალი დაითხოვეს სამსახურში რეგულარული გამოცხადებიდან, იყო დაბნეულობა, რადგან არ არსებობდა დისტანციური მუშაობის გამოცდილება და პერსონალი ელოდა ინსტრუქციებს, თუ როგორ გაეგრძელებინა მუშაობა შედარებით პასიურ სამუშაო რეჟიმში. სპეციალისტების (სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების) სამუშაო პროცესი შეფერხდა, მათ შორის ინტერვიუები, შეფასებები და ა.შ., თუმცა ისინი სარგებლობდნენ რეგულარული პროფესიული ზედამხედველობით ზემდგომი რგოლის მხრიდან ცალკეულ შემთხვევებზე, რომლებიც საჭიროებდნენ განსაკუთრებულ გადაუდებელ რეაგირებას ან ზოგადად შეფასებისა და რეაბილიტაციის მეთოდებსა და მიდგომებთან დაკავშირებით. საწყის ეტაპზე, პერსონალი მუშაობდა იმ მსჯავრდებულთა იდენტიფიცირებაზე, რომელთა შეფასება დაუყოვნებლივ იყო საჭირო (წინასასამართლო ანგარიშების მომზადება სასამართლოში და პროკურატურაში გასაგზავნად, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საჭიროებების შეფასება). თანდათანობით, მუშაობა განახლდა სხვადასხვა მიმართულებით, დაწყებული არასრულწლოვანთა განრიგებითა და მედიაციით, მოგვიანებით, წინასასამართლო ანგარიშების მომზადებით, მას შემდეგ რაც

სასამართლომ განაახლა მუშაობა. დაბოლოს სოციალურმა მუშაკებმა გააგრძელეს მუშაობა ზრდასრულ პირობით მსჯავრდებულებთან.

პანდემიის განმავლობაში თანამშრომლები იცავდნენ სააგენტოს ხელმძღვანელობისგან მიღებულ მითითებებს. პრობაციის სამსახურში მომუშავე რესპონდენტების თქმით, ისინი იღებენ მკაფიო წერილობით კომუნიკაციას თავიანთი ზემდგომისგან, თითქმის ყოველკვირეულად და დაუყოვნებლივ ეცნობიან, როდესაც საჯარო ხელისუფლება აწესებს ახალ შეზღუდვებს ან რეგულაციას, რაც გამოიწვევს მუშაობის სხვა რეჟიმზე გადასვლის საჭიროებას. ეს ხდება ყველა ბიუროში, ამიტომ, არ არსებობს განსხვავება ცენტრალურ და ტერიტორიულ ორგანოებს შორის მათი ინფორმირებულობის თვალსაზრისით.

როგორც ადრე აღინიშნა, პერსონალს მოუწია სრულად დისტანციურ მუშაობაზე გადასვლა და მსჯავრდებულებთან ონლაინ ან სატელეფონო კომუნიკაციის შენარჩუნება პანდემიის მატებისა და ჩაკეტვის დროს, მხოლოდ კრიზისულ შემთხვევებზე რეაგირება ბინაზე ვიზიტებისა და პირისპირ შეხვედრების გზით. მოგვიანებით, როდესაც პანდემიის მდგომარეობა დასტაბილურდა, თანამშრომლებმა დაიწყეს ცვლაში მუშაობა და აღნიშნული პრაქტიკა დღემდე გრძელდება. ამრიგად, მაგალითად, სოციალური მუშაკები სამსახურში დადიან კვირაში ორი დღე, ან საჭიროებისამებრ, უფრო ხშირად. ზოგიერთი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩვეულ რეჟიმში ტარდება (მოიცავს ბენეფიციარებთან პირისპირ კომუნიკაციას და მათთვის დახმარების სერვისების მიწოდებას), თუმცა ზოგიერთი სხვა სამუშაო (როგორცაა პირობით ვადამდე გათავისუფლების საბჭოს სხდომებში მონაწილეობა ან მსჯავრდებულის ოჯახური გარემოს შეფასება) გრძელდება ონლაინ ინტერვიუებისა და შეფასებების საშუალებით. განაახლდა პირობით მსჯავრდებულთა და პირობით გათავისუფლებულთა ბინაზე ვიზიტები.

*„ეს ადაპტაცია დღემდე გრძელდება და დინამიურია. ჩვენ ვერგებით მთავრობის COVID-19-ის რეგულაციებს.“*

*პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი*

პირადი დაცვის საშუალებების მიწოდება პერსონალისთვის

პრობაციის სამსახურში მომუშავე რესპონდენტთა უმეტესობამ განაცხადა, რომ მათ საკმარისად მიეწოდებათ პირბადეები და სადეზინფექციო სითხეები სამუშაოს უსაფრთხოდ შესასრულებლად. ვირუსული ინფექციის განსაკუთრებული მატების დროს, პრობაციის პერსონალს მოუწოდებდნენ გაეკეთებინათ ხელთათმანები და სახის ფარები, როცა საჭირო იყო მსჯავრდებულებთან პირისპირ მუშაობა (ინტერვიუები, სახლში ვიზიტი და ა.შ.). შემუშავდა პროტოკოლი, რომელიც ასახავს ჰიგიენის, უსაფრთხო ფიზიკური დისტანციის, მისალმების (მაგ. კლიენტებთან ხელის ჩამორთმევის გარეშე) კუთხით ინსტრუქციებს როგორც პრობაციის ბიუროებში შეხვედრების, აგრეთვე მსჯავრდებულებთან ბინაზე ვიზიტების დროს.

დისტანციურ მუშაობაზე გადასვლასთან დაკავშირებული გამოწვევები

თავდაპირველად, ვინაიდან დისტანციური მუშაობა სიახლე იყო, პერსონალის ნაწილს ტექნიკური საშუალებების კუთხით პრობლემები შეექმნა. ყველა თანამშრომელს არ ჰქონდა წვდომა ლეპტოპებზე სახლიდან სამუშაოდ, რადგან პრობაციის ბიუროებს აქვთ



მხოლოდ დესკტოპ კომპიუტერები. ასევე ზოგიერთ მათგანს არ ქონდა სმარტფონი, რომელიც საშუალებას მისცემდა ესარგებლათ Zoom ან Viber ვიდეო ზარით. შესაბამისი უნარების უქონლობაც პრობლემას წარმოადგენდა. თანდათან ყველა ეს პრობლემა დაძლეულ იქნა. ზოგიერთმა თანამშრომელმა შეიძინა სმარტფონი ან ლეპტოპი და სააგენტომ ასევე დაუშვა სამუშაო კომპიუტერებით სახლში დროებით სარგებლობა. თანამშრომლებმა შეიძინეს სხვადასხვა ციფრული აპლიკაციების, საკომუნიკაციო საშუალებების და ვიდეო ზარის გამოყენების უნარები. საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ინტერნეტ სერვისის შეფერხებამ დროდადრო პრობლემები წარმოშვა, რადგან წყდებოდა კავშირი და ხელს უშლიდა მუშაობის პროცესს და ტრენინგებში მონაწილეობას.

მსგავსი პრობლემები შეექმნათ პრობაციაში აღრიცხულ მსჯავრდებულებსაც. პრობაციის თანამშრომლებს ტელეფონით უწევდათ კომუნიკაცია იმ ბენეფიციარებთან, რომლებსაც არ ჰქონდათ კომპიუტერი ან სმარტფონი ან ინტერნეტზე წვდომა. თუ პირობით მსჯავრდებულებს არ ჰქონდათ ტელეფონები, მეზობლები დახმარებას უწევდნენ და უთმობდნენ თავიანთ კომპიუტერსა და ტელეფონებს ფიქსირებულ დროს. თუ ტექნიკური საშუალებები იძლეოდა საშუალებას, ვიდეო კონფერენცია გამოიყენებოდა ონლაინ შეფასების ინტერვიუს ან მსჯავრდებულებთან სარეაბილიტაციო და მხარდამჭერი სერვისების ონლაინ სესიების ჩასატარებლად.

*„ონლაინ კომუნიკაციის დროს რთულია ადამიანის გახსნა. ეს აფერხებს ნდობის ჩამოყალიბებას, არის ტექნიკური ხარვეზები, ზოგჯერ ინტერნეტი ითიშება. ბენეფიციარი ცდილობს გითხრას რაიმე მნიშვნელოვანი, მაგრამ უცებ კავშირი წყდება და შემდეგ მას აღარ სურს ამაზე საუბარი. ჰანდემიამდე ექვს ადამიანთან სესიის ჩასატარებლად ერთი საათი იყო საჭირო, ახლა კი თითოეულ მათგანთან ინდივიდუალური სესიების ჩატარება მჭირდება“.*

*პრობაციის სამსახურის წარმომადგენელი*

## COVID-19 ზეგავლენა პერსონალის დატვირთვაზე/საქმეების რაოდენობაზე

ჰანდემიის დაწყებისას სოციალური მუშაკები გადატვირთული იყვნენ შემთხვევებით, როგორც მათ აღნიშნეს ინტერვიუების დროს. ხოლო პირისპირ სერვისების მიწოდების შეზღუდვის გამო მუშაობის შედარებით მსუბუქ რეჟიმზე გადასვლა დაეხმარა მათ შესვენებაში. ზოგიერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ჰქონდა 100-ზე მეტი შემთხვევა, როდესაც მათ მოუწიათ დისტანციურ მუშაობაზე გადასვლა 2020 წლის მარტში. ვინაიდან სასამართლოებსა და პროკურატურას ასევე წყვეტა ქონდა მუშაობაში ჩაკეტვის ზომებზე გადასვლისას, სააგენტოში ნაკლები საქმე შემოვიდა, რამაც თანამშრომლებს ამოსუნთქვის საშუალება მისცა. თუმცა, 2020 წლის ბოლოს პრაქტიკაში დაინერგა რისკისა და საჭიროებების შეფასების და შემთხვევების მართვის ახალი სისტემა, რომელმაც მისცა შემთხვევის მმართველს შესაძლებლობა, გამოეკვეთა საშუალო ან მაღალი რისკი, რამაც სოციალურ მუშაკებთან გადამისართებული პირების რაოდენობის ზრდა გამოიწვია. აღნიშნულის გამო თითოეულ სოციალურ მუშაკს ქონდა დაახლოებით 150 შემთხვევა, რაც იწვევდა დამატებითი პერსონალის საჭიროებას განსაკუთრებით თბილისში. შემთხვევების ზრდა და ბენეფიციარების დიდი რაოდენობით გადმომისამართება სააგენტოს ხელმძღვანელობას უყურადღებოდ არ დაუტოვებია და მიმდინარე პერიოდში

17 სოციალური მუშაკი და 7 ფსიქოლოგი დაემატა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტს.

შემთხვევების მართვის ახალი სისტემის მიხედვით, სოციალური მუშაკები უფრო აქტიურ როლს ასრულებენ ბენეფიციარების შეფასებაში და საჭიროებისამებრ, ამისამართებენ პრობაციის ოფიცრებსა და ფსიქოლოგებთან. სერვისების დისტანციურად მიწოდება ასევე მოითხოვდა მეტ დროსა და მოქნილობას პერსონალის მხრიდან, რადგან ხშირად ბენეფიციარებისთვის უნდა მიეწოდებინათ ინდივიდუალური სესიები, ჩვეული ჯგუფური სესიების ნაცვლად. მიუხედავად იმისა, რომ რეგულარულ სამუშაო საათებში მსჯავრდებულთა შეზღუდული ხელმისაწვდომობის გამო საჭირო იყო მათ გრაფიკს მორგება, სოციალური მუშაკები ასევე პასუხისმგებელნი იყვნენ საქმის მართვის დროს შრომატევად სამუშაოზე, მათ შორის დიდი რაოდენობით დოკუმენტაციის დამუშავებასა და მომზადებაზე.

ახალმა სისტემამ ასევე გაზარდა ფსიქოლოგების დატვირთვა. ეს არ იყო კონკრეტულად პანდემიასთან კავშირში, როგორც განმარტავენ რესპონდენტები, არამედ უბრალოდ მუშაობის ახალ მეთოდოლოგიაზე გადასვლა პანდემიას დაემთხვა.

პრობაციის ოფიცრებსაც, მათი თქმით, გაეზარდათ დატვირთვა პანდემიის დასაწყისში შედარებით პასიური პერიოდის შემდეგ. ოფიცრები აგრძელებენ მუშაობას ცვლაში, მონაცვლეობით დისტანციურ და საოფისე სამუშაოებს შორის. ოფიცრები, რომლებიც დადიან პრობაციის ბიუროებში და მსჯავრდებულებთან პირისპირ მუშაობენ, ასევე ითავსებენ სხვა ოფიცრთა საქმეებს (მაგ. მსჯავრდებულთა რეგისტრაცია, დახმარება განაცხადების დაწერაში, და ა.შ). მათ, ვინც დისტანციურად მუშაობს, შეზღუდული აქვთ მსჯავრდებულებთან ურთიერთობისა და მათი ზედამხედველობის შესაძლებლობა, რადგან კომუნიკაციის მთავარი საშუალება სატელეფონო ზარებია. არსებული ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2021 წელს თითოეულ პრობაციის ოფიცრზე საქმეების რაოდენობა შედარებით შემცირდა, მაშინ როცა ისინი სტაბილურად მაღალი იყო 2020 წლის განმავლობაში (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური სტატისტიკა, იხ. დანართი).

ამნისტიის კანონის ამოქმედების შემდეგ გაიზარდა პრობაციის პერსონალის დატვირთვაც, რადგან ბევრი პატიმარი გათავისუფლდა პატიმრობის შემდგომ საპრობაციო ვადით პრობაციის მეთვალყურეობის ქვეშ. პერსონალის გადინებამაც, რომელიც დაემთხვა პანდემიას, თავისი გავლენა იქონია სამუშაო დატვირთვაზე, რადგან მომუშავე პერსონალს დაეწერა სამსახურიდან წასული თანამშრომლების საქმეები. გაზრდილი დატვირთვა ართულებდა ხშირ კომუნიკაციას ყველა მსჯავრდებულთან, განსაკუთრებით პანდემიის განმავლობაში სამუშაოს ცვალებადობის ფონზე და პრობაციის პერსონალს მოუწია ბენეფიციართა გარკვეული ჯგუფების პრიორიტეტიზაცია და მათთან უფრო ინტენსიური მუშაობა.

## პანდემიის ზეგავლენა პრობაციის საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებაზე და სამუშაოს სხვა ასპექტებზე

პანდემიასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა გარკვეულწილად გაართულა ზედამხედველობის ფუნქციის განხორციელება და პრობაციის სააგენტოს მუშაობის სხვა ასპექტები. ექსკლუზიურად დისტანციური მუშაობის დროს ყველა კომუნიკაცია ხდებოდა ციფრული საშუალებებით, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავდა მსჯავრდებულებთან დაუყოვნებელი კონტაქტისა და ზედამხედველობის შესაძლებლობას. თანამშრომლებს

ასევე ჰქონდათ ვალდებულება მიეწოდებინათ დოკუმენტაცია ციფრული საშუალებებით, რაც ზოგჯერ რთული იყო ტექნიკური შეზღუდვების გამო. სხვა დროს, როცა პრობაციონერებთან შეხვედრა ღია სივრცეში იყო დაშვებული, ოფიცრები მათ ხვდებოდნენ სამ ან ოთხკაციან ჯგუფებში, ამ შემთხვევაში მიზანშეწონილი არ იყო სენსიტიურ თემებზე საუბარი კონფიდენციალობის უზრუნველყოფის შეუძლებლობიდან გამომდინარე. დამატებით ოფიცრები ტელეფონით უკავშირდებოდნენ მსჯავრდებულებს ინდივიდუალურ საკითხებთან დაკავშირებით.

## საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეზღუდვის ზეგავლენა პრობაციის პერსონალზე

COVID-19-ის შემთხვევების განსაკუთრებული მატების და, შესაბამისად, ჩაკეტვის დროს, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადაადგილებაზე რამდენჯერმე დაწესდა შეზღუდვა, რამაც გავლენა მოახდინა უამრავ ადამიანზე, მათ შორის პრობაციის პერსონალსა და მსჯავრდებულებზე. სააგენტოს თანამშრომლები, რომლებიც სამსახურში დადიოდნენ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, განსაკუთრებით დაზარალებულნი პანდემიის გამო, რადგან დაბრკოლება ექმნებოდათ სამსახურში სიარულის მხრივ, ხოლო როდესაც ტრანსპორტი მოძრაობდა, უსაფრთხო ფიზიკური დისტანციის დაცვა საკმაოდ რთული იყო ავტობუსებში ხალხმრავლობის გამო. საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეზღუდვის დროს პერსონალს უწევდა ძვირი კერძო სატრანსპორტო საშუალებებით სარგებლობა (ტაქსები). მათ, ვისაც სამსახურში ფეხით შეეძლო სიარული საცხოვრებელ ადგილთან შედარებით სიახლოვის გამო, ამ მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობა ქონდათ.

## პერსონალის მიმართ მენეჯმენტის მხარდაჭერა პანდემიის დროს

ზოგადად, რესპონდენტებმა თქვეს, რომ პრობაციის ეროვნული სააგენტოს ზემდგომი რგოლი აძლევდა სამუშაო პროცესში მოქნილობის საშუალებას პერსონალს და გულისხმობდა იჩენდა მათი ოჯახში სამზრუნველო ვალდებულებების და შესაბამისი საჭიროებების მიმართ. მათ, ვინც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო რისკ ჯგუფს განეკუთვნებოდა, უფლება მიეცათ გაეგრძელებინათ მუშაობა დისტანციურად.

როდესაც ბავშვზე ზრუნვისა და საგანმანათლებლო დაწესებულებები (ბაღები და სკოლები) დახურულია გარკვეული პერიოდით (COVID-19-ის შემთხვევების მატების დროს), პრობაციის იმ თანამშრომლებს, რომლებიც მშობლები არიან, უჭირთ ბავშვზე ზრუნვის ორგანიზება, ან უწევთ სახლიდან მუშაობის და ბავშვებზე ზრუნვის ვალდებულებების შეთავსება. ეს მნიშვნელოვნად ზრდის მათი სტრესის დონეს.

ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები განსაკუთრებით დადებითად აფასებდნენ მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის დეპარტამენტის მხრიდან გაწეულ პროფესიულ ზედამხედველობას და მხარდაჭერას, რაც დაეხმარა მათ მუშაობაში საჭირო ადაპტაციასა და კორექტივების შეტანაში და დისტანციური მუშაობისთვის საჭირო უნარების განვითარებაში. მათთვის განსაკუთრებით გამოსადეგი იყო პრობაციის ეროვნული სააგენტოს რეაბილიტაციის დეპარტამენტისა და ბავშვთა რეფერალური ცენტრის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო დისტანციური მუშაობის შესახებ. ასევე მნიშვნელოვანი დახმარება გაეწიათ გაეროს ბავშვთა ფონდისა (UNICEF) და არასამთავრობო ორგანიზაციის „ინიციატივა სოციალური ცვლილებისთვის“ (ISC) მიერ მოწოდებული სემინარების, სამუშაო შეხვედრების, პროფესიული ზედამხედველობის შეხვედრებისა და

დეტალური წერილობითი ინსტრუქციების სახით, რომელიც განხორციელდა პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით. აღნიშნული დახმარების შედეგად სპეციალისტებმა აიმაღლეს კვალიფიკაცია შემდეგ საკითხებზე: ბენეფიციარების ონლაინ შეფასების ინტერვიუების ჩატარება, ძალადობის კუთხით ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების გამოვლენა, დისტანციური კომუნიკაციის მეთოდების გამოყენებისას ბენეფიციარებთან კომუნიკაციის კონფიდენციალობის უზრუნველყოფა, სოციალური მუშაკებისთვის პროფესიული ზედამხედველობის მნიშვნელობა ამ პროცესში და მრავალი სხვა სასარგებლო დეტალის შესახებ. სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების სპეციალისტთა პერსონალს ასევე ჩაუტარდა მოწვეული ექსპერტების მიერ პროფესიული გადაწყვეტილების პრევენციის შესახებ სემინარი. აღნიშნული გაიდლაინები შემუშავდა საჭიროებების შეფასების საფუძველზე და ასახავდა საგანგებო სიტუაციებში და მათ შემდგომ სოციალური სამუშაოს შემთხვევის მართვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

*„რა სერვისების შეთავაზება შეგვიძლო პანდემიამდე ჩვენ ახლაც შეგვიძლია შევთავაზოთ.“*

*პრობაციის სააგენტოს წარმომადგენელი*

## ბენეფიციარების მიერ საჭირო სერვისებზე წვდომა

პრობაციის სამსახური მსჯავრდებულებს აწვდის სარეაბილიტაციო პროგრამებს, რომლებშიც ბენეფიციარები ჩართულნი არიან საჭიროებების შეფასების საფუძველზე (მათ შორის, ბრაზის მართვის კურსები, კომუნიკაციის განვითარება და ა.შ.). სოციალურმა მუშაკებმა დიდწილად შეძლეს გაეგრძელებინათ თავიანთი სერვისების მიწოდება და გამოკითხული პერსონალი საკმაოდ დამაჯერებლად ამტკიცებდა, რომ პანდემიას მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ მოუხდენია სპეციალისტების მიერ შიდა მომსახურებების მიწოდებაზე. გამონაკლისი იყო უარყოფითი გავლენა ჯგუფური კონსულტირების სესიებზე, რომელთა ჩატარება საჭირო გახდა ინდივიდუალურად ან, ზოგიერთ შემთხვევაში, მცირე ჯგუფებში.

სააგენტოს არა აქვს ჯანდაცვის პროგრამები და, შესაბამისად, ჯანდაცვის სერვისებზე გადამისამართება ხდება გარე სერვისების მიმართულებით.

ზოგიერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ გაუარესდა მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა პანდემიის დროს, რადგან ბევრი სერვისის მიწოდება საჭირო გახდა ონლაინ ან თუნდაც სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით. ონლაინ ან სატელეფონო კომუნიკაციასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზებისა და ბარიერების გარდა, მათ ასევე აღნიშნეს სირთულეები ბენეფიციარებთან ნდობის დამყარებისა და ურთიერთობის შენარჩუნების თვალსაზრისით ინტერნეტ-კავშირის წყვეტის დროს.

ზოგიერთ მსჯავრდებულს არ ჰქონდა ონლაინ პლატფორმებზე წვდომისა და სერვისების დისტანციურად მიღების შესაძლებლობა, ამ შემთხვევაში კონსულტაციები და სარეაბილიტაციო სერვისები ტარდებოდა ტელეფონით.

„მთელი ქვეყნის მამტაბით სერვისების პრობლემები დგას. იმიტომ რომ არ არის არც სახელმწიფო არც არასამთავრობო სერვისი, რომელიც ყველა კონკრეტულ ბენეფიციარს მოერგება. აკეთებ შეფასებას, გამოკვეთ საჭიროებას და გიწევს მერე შესაბამისი სერვისების ძებნა დავერ პოულობ. მერე გიწევს დასაბუთება, რომ სხვა მიზნობრიობიდან იქნებ ამ საჭიროებაზე მიმართონ თანხა, რადგანაც ამ კონკრეტულ ბენეფიციარს ეს სჭირდება.“

## პრობაციის სამსახურის წარმომადგენელი

### გარე სერვისების ხელმისაწვდომობა

პრობაციის სამსახურის თანამშრომლების თქმით, პანდემიამ შექმნა გარე სერვისების დეფიციტი, რადგან პანდემიის დროს დაწესებულმა შეზღუდვებმა ბევრი სერვისი მიუწვდომელი დატოვა. მათ აღნიშნეს, რომ ბევრი უფასო სერვისი, რომელსაც აწვდიდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები პანდემიამდე, ან შეჩერდა პანდემიასთან დაკავშირებით დაფინანსების ნაკლებობის გამო, ან გადავიდა ექსკლუზიურად ონლაინ ფორმატზე (როგორცაა იურიდიული კონსულტაცია, პროფესიული სწავლება, დასაქმების მხარდაჭერა, ან მცირე გრანტების დაფინანსება). ამან შექმნა ხარვეზები, როგორც სერვისების არსებობის, ასევე მათი ხელმისაწვდომობის კუთხით. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა მსჯავრდებულმა შეძლო ესარგებლა სასიცოცხლო და პროფესიული უნარების შესახებ უწყვეტი ტრენინგით, რადგან არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალი და ბიზნესი“ აძლევდათ ამ შესაძლებლობას პანდემიის მიუხედავად.

სხვებმა აღნიშნეს სახელმწიფო ან არასამთავრობო სერვისების ზოგადი ნაკლებობა, რომლებიც აკმაყოფილებენ მათი ბენეფიციარების კონკრეტულ საჭიროებებს. მათ აღნიშნეს, რომ ატარებენ შეფასებებს, ავლენენ საჭიროებებს და შემდეგ უწევთ საჭირო სერვისების მოძიება, რომლებსაც ზოგჯერ ვერ პოულობენ. შემდეგ ითხოვენ ბიუჯეტის გამოყოფას, რათა ეს საჭირო მომსახურება კერძო სერვისის მომწოდებლებისგან შეიძინოს სააგენტომ.

### პანდემიის ზეგავლენა პრობაციაში აღრიცხულ მსჯავრდებულებზე

პირობით მსჯავრდებულთა ან ციხიდან გათავისუფლებულთათვის სერვისები და მხარდაჭერა

პანდემიასთან დაკავშირებული მხარდაჭერის მიღების კუთხით არასაპატიმრო სასჯელის ან პირობითი მსჯავრის მოხდისას, გამოკითხული მსჯავრდებულების გამოცდილება განსხვავებული იყო. პასუხების სპექტრი მრავალფეროვანი იყო. ზოგიერთი რესპონდენტი აღნიშნავდა, რომ პანდემიის დროს არანაირი დახმარება არ მიუღია, ხოლო ზოგიერთს მიღებული ქონდა პრობაციის სამსახურისგან ჰუმანიტარული დახმარება (როგორც კრიზისული დახმარება საკვები პროდუქტებისა და სანიტარული ჰიგიენური საშუალებების სახით).

ზოგიერთი მსჯავრდებული მონაწილეობდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ტრენინგებში (მათ შორის ტრენინგი სამუშაო უნარებისა და შრომითი უფლებების შესახებ, სამუშაოს ძიების მხარდაჭერა, პროფესიული გადამზადების კურსები) ღონისძიებით დაფინანსებით. ზოგიერთ მსჯავრდებულს, განსაკუთრებით ქალებს, არასამთავრობო ორგანიზაციები დაეხმარნენ თავშესაფრითა და ძირითადი საარსებო ხარჯებით, ასევე დაურიგდათ პირბადეები და ხელის სადღეინფექციო საშუალებები.

გამოკითხულ ბენეფიციარებს შორის, ისინი, ვინც სასჯელის სრულად მოხდის შემდეგ გათავისუფლდნენ საპატიმრო სასჯელისგან, ყველაზე ნაკლებად იყვნენ მხარდაჭერილი მათთან შედარებით, ვისაც გათავისუფლების შემდგომ საპრობაციო ვადა დაენიშნათ ან იხდიდნენ არასაპატიმრო სასჯელს. ოჯახში ძალადობის გამოცდილების მქონე გამოკითხულმა პრობაციონერმა ქალებმა აღნიშნეს, რომ უწყვეტად იღებდნენ ფსიქოლოგიურ საკონსულტაციო დახმარებას მიღებული ფსიქოლოგიური ტრავმის გამო - რაც მნიშვნელოვანია, მუდმივად ხელმისაწვდომია შემზღველავი ღონისძიებების მიუხედავად. გამოკითხული 32 ბენეფიციარიდან მესამედმა თქვა, რომ მათ არანაირი დახმარება ან მხარდაჭერა არ მიუღიათ პანდემიის დროს.

ბენეფიციარებმა გაწეული დახმარება არასაკმარისად მიიჩნიეს და განმარტეს, რომ მათ არ აქვთ წვდომა საჭირო სოციალურ სერვისებზე და მათი ფინანსური მდგომარეობა მძიმეა. ზოგიერთმა თქვა, რომ ისინი იღებენ გარკვეულ სოციალურ შემწეობას, მაგრამ ეს საკმარისი არ არის მათი გარემოებების გათვალისწინებით (მაგ. მარტოხელა მშობლობა, ავადმყოფობა და დასაქმების შეუძლებლობა, მიუხედავად რამდენიმე შეთავაზებისა) – განსაკუთრებით პანდემიის დროს გაურკვევლობისა და შეზღუდული შესაძლებლობების პირობებში.

გამოკითხულ ბენეფიციართა უმრავლესობამ განაცხადა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეზღუდვამ მათზე უარყოფითად იმოქმედა, რადგან შეუძლებელი იყო გადაადგილება და სერვისებზე წვდომა, ხოლო ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალებები (მაგ. ტაქსი) ფინანსურად არ იყო ხელმისაწვდომი. პრობაციონერმა ქალებმა მაღლობა გადაუხადეს არასამთავრობო ორგანიზაციებს გაწეული დახმარებისთვის, მათ შორის თავშესაფრისთვის, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო მათთვის, რადგან რთულ პერიოდებში თავზე ჭერი ქონდათ და რესოციალიზაციის მხრივაც ქონდათ მხარდაჭერა. სხვები მიუთითებდნენ, რომ პრობაციის სამსახურში გამოცხადების ვალდებულების შეჩერება იმ პერიოდში, როდესაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ მუშაობდა, მათთვის უკვე საკმაოდ დიდი შეღავათი იყო, რადგან არ უხდებოდათ დამატებითი ხარჯების გაწევა ალტერნატიული ტრანსპორტით სარგებლობისთვის.

ზოგიერთმა ბენეფიციარმა აღნიშნა, რომ მიღებული მხარდაჭერა არ იყო საკმარისი მათი რეინტეგრაციისთვის, რადგან მათ უფრო მნიშვნელოვანი დახმარება ესაჭიროებოდათ. მათ, ვინც აცხადებდა, რომ დახმარება არასაკმარისია, როგორც წესი, ჰქონდათ ჯანმრთელობის პრობლემები და საჭიროებდნენ შესაბამის სამედიცინო სერვისებს, თუმცა არ შეეძლოთ მომსახურების საფასურის გადახდა საკუთარი ჯიბიდან. ზოგიერთმა აღნიშნა, რომ მეგობრები და ნათესავები ეხმარებიან რესოციალიზაციასა და საზოგადოებაში რეინტეგრაციაში. ის მსჯავრდებულები, რომლებმაც მიიღეს ფსიქოლოგიური დახმარება და კონსულტაცია პრობაციის სამსახურიდან, ძალიან აფასებდნენ ამ სერვისს, როგორც მათ საჭიროებაზე მორგებულს, თუმცა, მათ ასევე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მათ მეტი დახმარება სჭირდებოდათ, განსაკუთრებით სამუშაოს მოძიებასა და დასაქმებაში, რაც შეესაბამება ოფიციალურ სტატისტიკას (2020-

2021 წლების მონაცემების მიხედვით, მსჯავრდებულთა დაახლოებით 80% იყო უმუშევარი, რაც ნაჩვენებია დანართში მე-3 ცხრილში).

აღინიშნა, რომ პრობაციის ბიუროებს გააჩნია რამდენიმე მხარდამჭერი სერვისი, რომელიც სრულად არ აკმაყოფილებს მსჯავრდებულთა კომპლექსურ საჭიროებებს. თუმცა, ზოგიერთმა ბენეფიციარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პრობაციის ოფიცრებისგან მიღებული ემოციური მხარდაჭერა და მათი ყურადღება მათთვის ძალიან ღირებული იყო.

*სერვისები და დახმარების პროგრამები, რომლებზეც პანდემიამ იმოქმედა*

ზოგიერთმა რესპონდენტმა თქვა, რომ ვერ მიიღო მონაწილეობა ონლაინ ტრენინგ კურსებსა და სხვა სერვისებში, რომელთა მიწოდება ხდებოდა დისტანციურად, რადგან არ აქვს წვდომა (უფასო) ინტერნეტზე და კომპიუტერზე და ასევე არ ფლობენ შესაბამის უნარებს.

*„სამწუხაროდ, ვერ მივიღე მონაწილეობა ონლაინ ტრენინგ კურსებში [პრობაციის სამსახურის ან სხვათა მიერ შემოთავაზებულ კურსებში], რადგან არ გამაჩნია უფასო ინტერნეტი და კომპიუტერი.*

*პრობაციაში აღრიცხვაზე მყოფი მსჯავრდებული*

ზოგიერთ რესპონდენტს, განსაკუთრებით პრობაციონერ ქალებს, რომლებიც ცხოვრობენ არასამთავრობო ორგანიზაციის ბაზაზე არსებულ უსახლკარო ყოფილ პატიმართა თავშესაფარში, საშუალება ჰქონდათ გაეზღოთ არასამთავრობო ორგანიზაცია ასოციაცია „ქალი და ბიზნესის“ მიერ ჩატარებული ტრენინგები (მათ შორის, პროფესიული გადამზადების კურსები, სტილისტის, თექის, კერვის, ბიზნეს ტრენინგის და სამუშაოს მაძიებელთა მხარდაჭერის კურსები). ზოგიერთმა ბენეფიციარმა თქვა, რომ პანდემიის დროს მათ არ ჰქონდათ რაიმე სოციალური სერვისი, გარდა საჭიროებისამებრ სასწრაფო დახმარებისა.

იმ რესპონდენტებმა, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ ზოგიერთ საწარმოში ან საამქროში, განაცხადეს, რომ მათ დახმარება სჭირდებოდათ შესაბამისი ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენაში. ზოგიერთმა აღნიშნა, რომ მათთვის სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა შეზღუდული იყო, რაც მოითხოვს ძვირადღირებულ პროცედურებს გამოკვლევებისთვის (მაგ. კომპიუტერული ტომოგრაფია).

*„კარგი იქნება სამედიცინო სერვისი იყოს [მოგვეწოდებოდეს], რადგან ძალიან ძვირია ექიმის მომსახურება, კვლევების ჩატარება, წამლებზე კი ფასები ყოველდღე იზრდება.“*

*პრობაციონერი მსჯავრდებული*

ბენეფიციარებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთი ტრენინგი, რომელშიც მათ უნდა მიეღოთ მონაწილეობა, პანდემიის გამო არ ჩატარდა ისე, როგორც დაგეგმილი იყო. ოჯახში ძალადობის გამოცდილების მქონე პირობით მსჯავრდებულმა ქალმა განაცხადა, რომ მან

მიიღო ფსიქოლოგიური კონსულტაცია და დაესწრო ტრენინგს ოჯახში და გენდერული ძალადობის თემაზე, თუმცა სხვა თემებზე კურსები არ ჩატარებია.

*„ჩემმა პრობაციის ოფიცერმა მითხრა, რომ გარკვეული ტრენინგები უნდა ჩატარებულიყო, ასეთი ინფორმაცია მქონდა. მაგრამ პანდემიის გამწვავების და ტრანსპორტის გაჩერების გამო, ეს ტრენინგები არ ჩატარებულა. სხვა სერვისები არ შემოუთავაზებიათ.“*  
პრობაციონერი მსჯავრდებული

საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეზღუდვის ზეგავლენა პრობაციის ბენეფიციარებზე

საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადაადგილების შეზღუდვამ მსჯავრდებულებზეც იმოქმედა, როგორც ყველა სხვა მოსარგებლეზე, რადგან ამ პერიოდში არ შეეძლოთ წვდომა არასამთავრობო ორგანიზაციების ან პრობაციის სამსახურის მიერ შეთავაზებულ ტრენინგ კურსებზე. ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალებები ფინანსურად არ იყო მათთვის ხელმისაწვდომი.

როგორც არაერთმა ბენეფიციარმა რესპონდენტმა აღნიშნა, როდესაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოძრაობს, ფიზიკური დისტანციის დაცვა სრულიად შეუძლებელია. ზოგიერთმა თქვა, რომ ისინი ცდილობენ დაიცვან ყველა წესი, მათ შორის ფიზიკური დისტანცია. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვა გამოწვევა იყო ბევრი რესპონდენტისთვის. ისინი გამოთქვამდნენ სურვილს, რომ მერიას გაეზარდა ავტობუსების რაოდენობა მათი გადაადგილების შეზღუდვის ნაცვლად, რადგან საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება ართულებდა მათ ცხოვრებას უძნელდებოდათ რა ზოგიერთ სერვისზე წვდომა. ზოგჯერ კი ეს საერთოდ შეუძლებელი ხდებოდა მათთვის.

ბენეფიციართა შეხედულებები COVID-19-ის საპასუხოდ გატარებულ ღონისძიებებზე

რესპონდენტი ბენეფიციარები აღნიშნავდნენ მთავრობის ძალისხმევას პანდემიის დასაძლევად. თუმცა, ზოგიერთმა მიიჩნია, რომ მთავრობა მხოლოდ ნაწილობრივ უმკლავდება არსებულ ვითარებას და რომ ამჟამად არსებული ზომები არასაკმარისია პანდემიის მიერ შექმნილი პრობლემების გადასაჭრელად. როგორც ზოგიერთმა ბენეფიციარმა აღნიშნა, ღონისძიებები, რომლებიც ამჟამად ხორციელდება, არ არის საკმარისი მათი ეკონომიკური და სოციალური უფლებების უზრუნველსაყოფად, დასაქმებაში დახმარების, ჯანდაცვის სერვისების და მედიკამენტების ხელმისაწვდომობის კუთხით და ა.შ. გამოკითხული 32 ბენეფიციარიდან მხოლოდ 5-მა აღნიშნა, რომ გატარებული ღონისძიებები საკმარისად აკმაყოფილებს მათ საჭიროებებს. სოციალურ სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა აიძულებს ბევრს იყოს ოჯახისა და მეგობრების იმედად. დამატებითი მხარდაჭერის საჭიროებები, რომლებიც აღინიშნა, მოიცავდა დახმარებას უნარების შემდგომი განვითარებისა და ტრენინგის თვალსაზრისით (ზოგიერთმა გაიარა კურსები სასჯელის მოხდის დროს და ცდილობდა შემდგომში გაეგრძელებინა უფრო სიღრმისეული კურსები, რომელიც არ იყო



ხელმისაწვდომი), ასევე მატერიალურ დახმარებას ინსტრუმენტების შექმნის კუთხით ახალი საქმიანობის დასაწყებად.

*„არ არის საკმარისი გატარებული ღონისძიებები, სტიგმის გამო დღემდე ვერ ვიშოვო სამსახური და ძალიან მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ვიმყოფები.“*

### *პრობაციონერი ქალი*

2021 წლის აგვისტოსა და სექტემბერში ბენეფიციარებთან გასაუბრებისა და გამოკითხვის დროს საქართველოში პანდემიის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე იყო, COVID-ით გამოწვეული უჩვეულოდ მაღალი სიკვდილიანობისა და ინფიცირების მაჩვენებლებით. ასევე არსებობდა კრიტიკული დამოკიდებულება საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეჩერების გამო, რამაც ბევრს პრობლემები შეუქმნა. ბენეფიციარებმა აღნიშნეს, რომ უფრო გონივრული მიდგომა იქნებოდა, თუ ქალაქის მერია არსებული ტრანსპორტის მთლიანად გაჩერების ნაცვლად უფრო მეტ ავტობუსს ამუშავებდა. ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ საჭიროა მეტი კონტროლი დაწესებული რეგულაციების შესრულებაზე. ბენეფიციარებმა ასევე გააკრიტიკეს საზოგადოება, რომელიც არ იცავს რეგულაციებს პირბადეების ტარების, სოციალური დისტანციის წესების დაცვისა და ფართომასშტაბიანი შეკრებებისგან თავშეკავების კუთხით (ქორწილები, ქეღეპები და სხვა სახის შეკრებები და ა.შ.). ბენეფიციარებმა ასევე აღნიშნეს მედიკამენტებზე და საკვებ პროდუქტებზე ფასების მნიშვნელოვანი მატება და ბევრის მიერ სამსახურის დაკარგვა, რაც ზოგადად სოციალური პირობების გაუარესებას იწვევს. ზოგიერთი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მძიმე შრომით გამომუშავებული ფული არ არის საკმარისი საჭირო ხარჯების დასაფარად. მათ აღნიშნეს, რომ პანდემიის დასაწყისში მენეჯმენტი უფრო ეფექტური იყო და სოციალური შემწეობა, რომლებსაც სახელმწიფო გასცემდა (მაგალითად, კომუნალური ხარჯების დასაფარად) საკმაოდ ხელშემწყობი იყო გაჭირვებულებისთვის. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი შემამოფოთებელი საკითხი იყო COVID-ის გამო ინფექციისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლების მკვეთრი ზრდა, რამაც ზოგიერთი რესპონდენტი მიიყვანა დასკვნამდე, რომ მთავრობას შეეძლო მეტი დახმარება გაეწია გაჭირვებული ადამიანებისთვის.

*„ფინანსურად ძალიან მიჭირს, მუშაობის დაწყება მინდა, მაგრამ პროფესია არ მაქვს. კეთილი ადამიანების იმედზე ვარ. როგორც კი გაიგებენ პრობაციონერი რომ ვარ, ყველა ცუდად მიყურებს. ვიცი რომ ცუდი რამ ჩავიდინე, მაგრამ ცხოვრების უფლება მეც მაქვს. მინდა გადაშზადების კურსები იყოს და ეს კურსები გავიარო.“*

### *ოჯახური ძალადობის გამოცდილების მქონე პირობითი მსჯავრდებული ქალი*

ერთმა პრობაციონერმა ქალმა, რომელიც მარტოხელა დედაა, აღნიშნა, რომ მას უჭირს გამკლავება არსებულ სირთულეებთან და არ არის გათვალისწინებული მისი მდგომარეობა. არასამთავრობო ორგანიზაციის ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“ თავშესაფარში მცხოვრებმა პირებმა აღნიშნეს, რომ გატარდა ზომები მათი საჭიროებების გასათვალისწინებლად. ბენეფიციარებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მათ სურდათ, რომ მათი უფლებები უფრო მეტად ყოფილიყო რეალიზებული სათანადო ვალდებულებების მქონე უწყებების მხრიდან, ვიდრე ამჟამად არის. აქედან გამომდინარე, მათი

განცხადებით, ხელისუფლების მიერ უფრო მეტი ზომების მიღება იყო საჭირო, რათა ისინი გამოეყვანა ეკონომიკური სიღუბლიდან.

ზოგიერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ პანდემიის დროს გააქტიურდა პირობით ვადამდე გათავისუფლების და შინაპატიმრობის გამოყენება, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა. ზოგიერთმა ბენეფიციარმა აღნიშნა, რომ ისინი მადლობელი იქნებიან პრობაციის სამსახურში ნაკლებად ხშირად რომ უწევდეთ გამოცხადება (მაგალითად, ორ კვირაში ერთხელ, ყოველკვირეული გამოცხადების ნაცვლად), რადგან მათ უწევთ მგზავრობის ხარჯების გაწევა და არ აქვთ შესაბამისი ფინანსური საშუალება. გამოცხადებლობა კი იწვევს დაჯარიმებას.

*„ორ კვირაში ერთხელ მაქვს მისასვლელი პრობაციის ბიუროში და ეს მომწონს, მაგრამ არ მომწონს თითის დადება რომ არის საჭირო, ყველას თვალწინ.*

*ზოგჯერ ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს. რადგან, მამაკაცებთან ერთად მიწევს რიგში დგომა. კარგი იქნება თუ რამე სხვა ფორმა იქნება გამოყენებული.“*

*სოც. დაუცველი პრობაციონერი ქალი*

გამოკითხულ ბენეფიციართა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ პანდემიას არანაირი დადებითი ზეგავლენა არ მოუხდენია მათ პირობითი მსჯავრის ან არასაპატიმრო სანქციების მოხდის გამოცდილებაზე. ერთადერთი დადებითი გამოცდილება, რომლის თაობაზეც აღნიშნეს, იყო ზოგიერთი მსჯავრდებულის შეწყალება და გათავისუფლება ციხიდან პანდემიის გამო და რომ ტრანსპორტის ჩაკეტვის დროს პირობით მსჯავრდებულებს არ უწევდათ პრობაციის ბიუროში გამოცხადება.

*„პანდემიის დროს გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ მიწევდა აღრიცხვაზე სიარული, რაც კარგი იყო, რადგან არ მიწევდა ტრანსპორტირებისთვის თანხის დახარჯვა. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის შეზღუდვის გამო, ეს ჩემთვის დამატებითი ტვირთი იქნებოდა სამსახურის უქონლობის გამო.“*

*პირობით მსჯავრდებული*

ბენეფიციარი ჯგუფები, რომლებზეც განსაკუთრებით იმოქმედა პანდემიამ

პანდემიის უთანაზომოდ მაღალი ზემოქმედების კუთხით, გამოკითხულმა რესპონდენტებმა განსაკუთრებით აღნიშნეს ის მსჯავრდებულები, რომლებმაც დაკარგეს სამუშაო კრიზისის პერიოდში და მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. სოციალური მუშაკები ცდილობდნენ მათ დახმარებას მონაცემთა ბაზაში არსებულ ვაკანსიებზე ინფორმაციის მიწოდებით.

განსაკუთრებით დაუცველად მოხსენიებული პირების კიდევ ერთი ჯგუფი იყო ბენეფიციარები, რომლებსაც ნარკოდამოკიდებულების პრობლემა ჰქონდათ. ადამიანების ეს ჯგუფი გაზრდილი რისკის ქვეშ აღმოჩნდა მკურნალობისა და რეაბილიტაციის სერვისების შემცირების გამო, რადგან ზოგიერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ დაკარგა დაფინანსება პანდემიის დროს (ან პროექტები დასრულდა, ან ახალი დაფინანსება ვერ მოიპოვეს) და ვერ ახერხებდა მათთვის უფასო სერვისების მიწოდებას. სერვისის დეფიციტი კიდევ უფრო გაღრმავდა, რადგან ზოგიერთი კლინიკა, რომელიც ადრე სთავაზობდა მათ დეტოქსიკაციის კურსს და სხვა სერვისებს, გადაკეთდა COVID კლინიკად.

ფსიქოლოგებმა ასევე ახსენეს ფსიქიკური ჯანმრთელობის საჭიროების მქონე ბენეფიციარები, როგორც განსაკუთრებით დაუცველები პანდემიის დროს და აღნიშნეს ხელმისაწვდომი დახმარებისა და საკონსულტაციო სერვისების ზოგადი დეფიციტი აღნიშნულ პერიოდში, როდესაც მომსახურების მიწოდება განსაკუთრებით რთული იყო.

პრობაციის სამსახურის წარმომადგენელი ზოგიერთი რესპონდენტი თვლიდა, რომ პანდემია განსაკუთრებით არ შეხებია მოწყვლად კატეგორიას მიკუთვნებულ მსჯავრდებულებს და მათზე განსხვავებულად არ უმოქმედია. თუმცა, ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ ბევრმა ბენეფიციარმა დაკარგა სამუშაო და საარსებო წყარო პანდემიის დროს, რამაც გამოიწვია განსაკუთრებული უარყოფითი შედეგები. იმ პირობით მსჯავრდებულებს, რომლებიც სოციალურ შემწეობას იღებდნენ, გაეწიათ ჰუმანიტარული დახმარება საკვები პროდუქტების, ჰიგიენური საშუალებების, ჩვილ ბავშვთა კვების საშუალებებით (ჩვილბავშვიანი ოჯახებისთვის), პრობაციის სამსახურის თანამშრომლების საკუთარი შემოწირულობებით.

პანდემიის განმავლობაში, პრობაციის პერსონალი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა მსჯავრდებულების ჯანმრთელობის მდგომარეობას და ხანდაზმულ ასაკს და გადაყავდათ გამოცხადების შეღავათიან რეჟიმზე ინფიცირების რისკების შესამცირებლად.

## ცვლილებისადმი ბენეფიციარების დამოკიდებულება

გარკვეული ტექნიკური სირთულეების მიუხედავად, განსაკუთრებით ონლაინ კომუნიკაციაზე გადასვლის დასაწყისში, მსჯავრდებულთა თითქმის ყველა ჯგუფი თავს კომფორტულად გრძნობდა, რადგან მათ არ უწევდათ მგზავრობა სოციალური მუშაკებისგან ან ფსიქოლოგებისგან მხარდამჭერი სერვისების მისაღებად.

## პანდემიის ზეგავლენა არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებაზე მომავალში

გამოკითხულ პრობაციის ოფიცრებს გაუჭირდათ მოეფიქრებინათ პანდემიის დადებითი გავლენა არასაპატიმრო სასჯელებისა და პრობაციის აღსრულებაზე, რადგან მათი აზრით, სიტუაცია უარყოფითად აისახა მსჯავრდებულთა ზედამხედველობის შესაძლებლობაზე.

მეორეს მხრივ, ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები თვლიდნენ, რომ გარკვეული პოზიტივი ახლდა დისტანციურ მუშაობას და დამატებითი სერვისების ონლაინ

მიწოდების შესაძლებლობას, ან პატიმრებთან ონლაინ შეფასების ინტერვიუების ჩატარებას, დროის დაზოგვისა და მგზავრობასთან დაკავშირებული დისკომფორტის თუ ხარჯების თავიდან აცილების მიზნით. ისინი ფიქრობდნენ, რომ პანდემიის შემდეგ ზოგიერთი ონლაინ სესია უნდა გაგრძელდეს, როგორც დამატებითი სერვისი. პრობაციაში აღრიცხულ მსჯავრდებულებთან მუშაობის ონლაინ რეჟიმი შენარჩუნებული იყო ინფექციის მოზღვავეებისა და შედარებით უსაფრთხო პერიოდებშიც, რადგან სარეაბილიტაციო სერვისების ეფექტურობა ამით არ შემცირებულა და ზოგიერთ ასპექტში, შედეგებიც კი გაუმჯობესდა, ასევე დაიზოგა მატერიალური რესურსები (მაგალითად, საქალაქთაშორისო მოგზაურობის ტრანსპორტირების ხარჯები), პრობაციის სამსახურის ზოგიერთი რესპონდენტის თქმით. სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები უფრო დადებითად აფასებდნენ ელექტრონული კომუნიკაციის შენარჩუნების შესაძლებლობას, როგორც დამხმარე საშუალებას მსჯავრდებულებთან მუშაობისთვის. პრობაციის ოფიცრებს განსხვავებული მოსაზრება ქონდათ, რადგან თვლიდნენ, რომ დისტანციური კომუნიკაცია არასაკმარისია და შეუსაბამო მათი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე.

გამოკითხული პრობაციის პერსონალისთვის არ იყო ცნობილი ფართო საზოგადოებრივი აზრი პრობაციისა და არასაპატიმრო სასჯელების შესახებ. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, იყო აქტიური ადვოკატირების ჯგუფი, რომლებიც პანდემიის მოცემულ ვითარებაში პატიმართა ამნისტიას ითხოვდნენ. თუმცა, მათ აღნიშნეს, რომ პრობაციონერი მსჯავრდებულები და მათი ოჯახის წევრები, როგორც ჩანს, კმაყოფილნი იყვნენ იმით, რომ პრობაციონერებისთვის დაწესდა პრობაციის ბიუროებში გამოცხადების უფრო მსუბუქი რეჟიმი და ეპიდემიის პიკების დროს მათ შეეძლოთ სახლში დარჩენა, რადგან არ უწევდათ პრობაციის ბიუროში გამოცხადება.

2021 წლის აგვისტოში გამოცხადდა, რომ იუსტიციის სამინისტრო გეგმავს ახალ ტექნოლოგიაზე დაფუძნებული მექანიზმის შემოღებას, რომელიც პრობაციონერების კონტროლის საშუალებას იძლევა.<sup>20</sup> თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი სისტემა Probbbox, პრობაციონერთა კონტროლსა და რეგისტრაციას მუნიციპალური კუთვნილების გარეშე განახორციელებს. Probbbox სისტემა აღჭურვილი იქნება ვიდეო გადაღებისა და დაქტილოსკოპიური აპარატით. შეძლებს უზრუნველყოს საბაზისო სერვისები, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა დოკუმენტების მიწოდებასთან. სამინისტრო იმედოვნებს, რომ ეს ელექტრონული სისტემა ხელს შეუწყობს ადამიანური რესურსების დაზოგვას და უზრუნველყოფს პრობაციის სერვისების მიწოდებას, რაც აქტუალურია განგრძობადი პანდემიის პირობებში. გავრცელებული ინფორმაციით, ამ სიახლის ამოქმედება დაჩქარდა პანდემიასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ამ ახალ მექანიზმს შეუძლია შეასრულოს პრობაციის სამსახურის ზოგიერთი რუტინული ამოცანა, ადამიანის უფლებებისა და პრობაციის პერსონალთან ადამიანური კონტაქტის მნიშვნელობა, ისევე როგორც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა/კონფიდენციალობა და მოვალეობების თანაზომიერება არ უნდა იყოს უგულებელყოფილი, როდესაც საქმე მიდგება ამგვარი ელექტრონული სისტემის დანერგვაზე.

იმის ნაცვლად, თუ რა ცვლილებები ან ღონისძიებები სურთ, რომ გაგრძელდეს პანდემიის გარეშე, ზოგიერთმა ბენეფიციარმა აღწერა, თუ რა ცვლილება სურდათ პანდემიის

<sup>20</sup><https://www.interpressnews.ge/ka/article/668532-rati-bregaze-iusticiis-saministro-probacionerta-kontrolis-inovaciur-mekanizms-nergavs/>

შემდეგ. მათ აღნიშნეს, რომ ისურვებენ პირობითი მსჯავრის ვადამდე გაუქმებას ან შემსუბუქებას, უკეთესი მხარდაჭერის მიღებას ეკონომიკური გაჭირვების დასაძლევად და სოციალური საკითხების გადასაჭრელად, მეტ ზრუნვას და მხარდაჭერას გათავისუფლების შემდგომი დახმარების ჩათვლით.

ერთმა პრობაციონერმა აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ პანდემიის დასრულების შემდეგაც გაგრძელდება პრაქტიკა, როდესაც პრობაციონერებს ექნებათ შესაძლებლობა, გამოცხადდნენ ამა თუ იმ რეგიონის რომელიმე პრობაციის ბიუროში აღრიცხვაზე და არა კონკრეტულ ბიუროში, რადგან გამოცხადების დღეს მათ შეიძლება მოუწიოთ სხვა მუნიციპალიტეტში ყოფნა სამუშაოს ან სხვა მიზეზით.

## დასკვნები და მიღებული გაკვეთილები

ჩატარებული კვლევიდან შეიძლება რამდენიმე დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, თუ როგორ იმოქმედა პანდემიამ პირობითი მსჯავრისა და არასაპატიმრო სასჯელებისა თუ ღონისძიებების აღსრულებისა და მოხდის პროცესზე.

მიუხედავად თავდაპირველი სირთულეებისა, რომლებიც დაკავშირებული იყო დისტანციურ მუშაობაზე მოულოდნელად გადასვლით გამოწვეულ დაბნეულობასა და გამოუცდლობასთან, ასევე ტექნიკურ პრობლემებთან, რამაც გავლენა იქონია სატელეკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებაზე, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობამ და თანამშრომლებმა შეძლეს საჭირო ადაპტაციის განხორციელება, რათა პანდემიაზე რეაგირების საწყის ეტაპზე ჯერ დისტანციურ მუშაობაზე გადასულიყვნენ, ხოლო მოგვიანებით შემდგომი შეზღუდვების დროს, ჰიბრიდულ ფორმატში გაეგრძელებინათ მუშაობა.

ზოგიერთი პრობლემა უკავშირდებოდა ციფრული კომუნიკაციის საშუალებების გამოსაყენებლად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობისა და უნარების ნაკლებობას.

საწყისი პასიური ფაზის შემდეგ პრობაციის თანამშრომლებს მოემატათ საქმეები, მას შემდეგ რაც სასამართლოები და პროკურორები დაუბრუნდნენ მუშაობის ჩვეულ რეჟიმს და სასჯელშეფარების პრაქტიკა აღდგა და განახლდა პრობაციის სამსახურისთვის საქმეების გადაგზავნა.

მიუხედავად იმისა, რომ პირისპირ შეხვედრებსა და ინტერვიუებს ვერ ჩაანაცვლებს, ონლაინ სესიები შეიძლება იყოს მონაცემთა შეგროვების ეფექტური, დამატებითი საშუალება, თუ ტექნოლოგია ხელმისაწვდომია და უწყვეტი კომუნიკაციის საშუალებას იძლევა.

პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ და მისმა ბიუროებმა შეძლეს გაეგრძელებინათ შიდა სარეაბილიტაციო სერვისების უმეტესი ნაწილის მიწოდება, როგორც პირისპირ, ასევე, პანდემიის პიკის დროს, დისტანციურად (ონლაინ, სატელეფონო კონსულტაცია და ტრენინგი). თუმცა, მეორე მხრივ, გარე სერვისები დიდწილად დაზარალდა პანდემიის გამო, რადგან ან სერვისის მიმწოდებლებს (არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძო კლინიკებს) მოუწიათ გადასულიყვნენ ონლაინ სერვისის მიწოდებაზე, ან შეექმნათ პრობლემები დაფინანსების კუთხით, ან იმგვარი ტრანსფორმაცია განიცადეს, რომ აღარ შეეძლოთ სერვისების ჩვეულ რეჟიმში მიწოდება.

ის მსჯავრდებულები, რომლებიც პანდემიის გამო განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფებიან, უმუშევრობისა და სოციალური გაჭირვების თვალსაზრისით, ასევე ნარკოდამოკიდებულების მკურნალობისა და რეაბილიტაციის საჭიროების მქონე პირები (სერვისების ნაკლებობის გამო) მიჩნეულ უნდა იქნენ პრიორიტეტულ ჯგუფებად საჭიროებების დაკმაყოფილებისა და მოწყვლადობის შემცირების მხრივ.

## რეკომენდაციები

იმისთვის, რომ საქართველოში არასაპატიმრო სასჯელებისა და ღონისძიებების სისტემა უფრო მდგრადი და მომზადებული შეხვდეს მომავალში ისეთ კრიზისებს, როგორცაა მიმდინარე COVID-19 პანდემია, ჩატარებული კვლევიდან მიღებული დასკვნებისა და საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე შემოთავაზებულია რიგი რეკომენდაციებისა.

რეკომენდაციები
1. პერსონალის გაზრდილი დატვირთვის გათვალისწინებით, რაც ხელს უშლის ზედამხედველობისა და მხარდაჭერის სათანადო ხარისხითა თუ ყველა მსჯავრდებულისთვის თანაბრად უზრუნველყოფას, პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ უნდა განიხილოს საჭიროების შემთხვევაში მეტი პერსონალის დაქირავების შესაძლებლობა.
2. იმის გათვალისწინებით, რომ პანდემია გრძელდება - და მომავალი კრიზისის და პრობაციის მუშაობაში ადაპტაციის დამატებითი საჭიროების გათვალისწინებით - სააგენტომ უნდა ჩაუტაროს ტრენინგი თავის პერსონალს დისტანციური მუშაობის თაობაზე, განავითაროს მათი უნარები და შესაძლებლობები ციფრული საშუალებების გამოყენების მიმართულებით.
3. სააგენტომ უნდა განიხილოს ტექნიკური აღჭურვილობის განახლება, რათა კომპიუტერები იძლეოდეს ციფრული კომუნიკაციისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების გამოყენების შესაძლებლობას.
4. სააგენტომ მიზანშეწონილია განიხილოს გამოყოფების დაყენება და ოთახების ვენტილაციის გაუმჯობესება, სადაც იმართება პირისპირ შეხვედრები მსჯავრდებულთა შუღლულ რაოდენობასთან.
5. პირისპირ კონტაქტი უნდა იყოს გამოყენებული იმ შემთხვევებში, როდესაც კანონთან კონფლიქტი მყოფ პირებს არ აქვთ წვდომა სატელეფონო ან ინტერნეტ აპლიკაციებზე და ამ შემთხვევაში ვირუსისგან დაცვის ყველა საჭირო და რეკომენდებული საშუალება იქნეს გამოყენებული;
6. სააგენტომ უნდა განიხილოს მსჯავრდებულებისთვის ოფიციალური ონლაინ კურსების შემუშავება მათი საჭიროებებიდან გამომდინარე, რათა მოქნილი პირობები შეთავაზოს სერვისების მიწოდებაში და გააუმჯობესოს რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროგრამებზე ხელმისაწვდომობა;
7. მიზანშეწონილია პანდემიის პერიოდში შესაბამისი სამუშაო ჯგუფის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების ინსტრუქციის შემუშავება, რათა ბიუროებში იყოს ერთიანი პრაქტიკა. ერთიანი პრაქტიკის მხარდასაჭერად რეგონებსა და ბიუროებში და მომავალი კრიზისის ან სხვა საჭიროების შემთხვევაში ადაპტაციის გასაადვილებლად, უნდა შემუშავდეს და ყველა პერსონალს მიეწოდოს მკაფიო საგანგებო გეგმები და პროცედურები.

<p>8. ღია სივრცეებში იმ უსასყიდლო სამუშაო ადგილების იდენტიფიცირება და მონაცემთა ბაზის წარმოება, რომელიც მუნიციპალურ ორგანოებსა და სხვა უწყებებს შეუძლიათ უზრუნველყონ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულებისთვის.</p>
<p>9. სამუშაოს მაძიებელი მსჯავრდებულების დასაქმების ხელშეწყობის გაზრდა. სასურველია მოკვლევულ იქნას, თუ რამდენად შესაძლებელია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ფარგლებში უსასყიდლო სამუშაოებზე დამსაქმებელთა მიერ ასევე ანაზღაურებადი სამუშაოების მოძიება მსჯავრდებულთათვის.</p>
<p>10. როდესაც პრობაციაში აღრიცხული მსჯავრდებულებისთვის არ არის ხელმისაწვდომი უფასო გარე მომსახურება, სააგენტოს მიზანშეწონილია გააჩნდეს ბიუჯეტი კერძო მიმწოდებლებისგან სერვისის შესყიდვისთვის. კიდევ ერთი ალტერნატივა იქნება იუსტიციის სამინისტრომ გაზარდოს ბიუჯეტი მცირე გრანტებისთვის არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ პრობაციის ბენეფიციარებს რეაბილიტაციის მხარდამჭერი სერვისებით (მაგ., პროფესიული გადამზადების კურსები, სამუშაო უნარების განვითარება, ნარკოდამოკიდებულების მკურნალობა, უსახლკაროების თავშესაფარი, სამედიცინო მომსახურება). ასევე უნდა არსებობდეს ბიუჯეტიდან გამოყოფილი ოფიციალური ფონდი ბენეფიციარების კრიზისული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.</p>
<p>11. მჭიდრო თანამშრომლობა უნდა არსებობდეს ჯანდაცვის სამინისტროს სოციალურ სამსახურებთან, რათა დაეხმარონ იმ მსჯავრდებულებს, რომლებსაც ესაჭიროებათ სოციალური დახმარება უკიდურესი სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის გამო.</p>
<p>12. პრობაციის სამსახურში აღრიცხული მსჯავრდებულების, რომლებიც განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფებიან პანდემიის გამო - ან შესაძლო სამომავლო კრიზისის დროს - უმუშევრად დარჩენილი პირები, სოციალურ გაჭირვებაში მცხოვრები, ნარკოტიკული დამოკიდებულების მქონე და შესაბამისი მკურნალობისა და რეაბილიტაციის საჭიროების მქონე პირები, გამოვლენა და პრიორიტეტულად მიჩნევა უნდა მოხდეს და მათთვის სპეციალურად შემუშავდეს მიდგომები მათი საჭიროებებისა და სირთულეების დროულად და სათანადოდ მოსაგვარებლად.</p>

**დანართი: ოფიციალური სტატისტიკა**

მონაცემების წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ([www.geostat.ge](http://www.geostat.ge)).

ცხრილი 1. საპატიმრო და არასაპატიმრო სასჯელების გამოყენება 2020-2021 წწ. (ივნისი)

	2021		2020		იან	თებ	მარ	აპრ	მაი	ივნ	ივლ	აგვ	სექტ	ოქტ	ნოვ	დეკ
	2021	2020	2021	2020												
მსჯავრდებ. პირთა რაოდენობა	462	1138	1060	1455												
თავისუფ. აღკვეთა	92 (19,9%)	242 (32,3%)	281 (26,5%)	292 (20,1%)												
პირობითი მსჯავრი	270 (58,4%)	476 (41,8%)	582 (54,9%)	733 (50,4%)												
ჯარიმა	66 (14,3%)	225 (29,8%)	120 (11,3%)	290 (19,9%)												
საზ. სასარგებლო შრომა	30 (6,5%)	109 (9,6%)	57 (5,4%)	138 (9,5%)												
	111 (8,6%)	55 (6,8%)	111 (8,6%)	23 (5,3%)												
	80 (7,5%)	53 (4,4%)	80 (7,5%)	23 (5,3%)												
	90 (5,3%)	73 (5,4%)	90 (5,3%)	73 (5,4%)												
		120 (7,2%)		120 (7,2%)												
		63 (7,6%)		63 (7,6%)												
		76 (6,3%)		76 (6,3%)												
		65 (6,0%)		65 (6,0%)												
		75 (8,1%)		75 (8,1%)												
		76 (7,1%)		76 (7,1%)												



შინაპატიმრობის გამოყენება

	იან	თებ	მარ	აპრ	მაი	ივნ	ივლ	აგვ	სექტ	ოქტ	ნოვ	დეკ
<b>2020</b>												
სასამართლოს მიერ შეფარდებული ჰვგ საბჭოების მიერ (მოუხდ. ნაწილის შეცვლა)	15	17	16	15	15	12	10	12	12	12	13	13
2021												
სასამართლოს მიერ შეფარდებული ჰვგ საბჭოების მიერ (მოუხდ. ნაწილის შეცვლა)	16	19	23	23	21	22						
2021												
სასამართლოს მიერ შეფარდებული ჰვგ საბჭოების მიერ (მოუხდ. ნაწილის შეცვლა)	412	363	363	369	379	354						

ცხრილი 2. პრობაციაში აღრიცხვაზე მყოფი მსჯავრდებულები და მათი სასჯელების განაწილება 2020-2021 წწ.

2020	პრობაციაში აღრიცხვაზე მყოფი მსჯავრდებულები	შეფარდებულ არასაპატიმრო სასჯელთა და პრობაციის განაწილება
იანვარი	20 677	პირობითი მსჯავრი - 82.4% (17 043); პატიმრობის შემდეგ საპრობაციო ვადა (13.1% (2 710); პირობით ვადამდე გათავისუფლება - 2.0% (407); საზ. სასარგებლო შრომა - 1.6% (326); სასჯელ. მოხდის გადავადება - 0.1% (11)
თებერვალი	20 719	პირობითი მსჯავრი- 82.3% (17 052); პატიმრობის შემდეგ საპრობაციო ვადა - 13.1% (2 722); პირობით ვადამდე გათავისუფლება - 2.0% (410); საზ. სასარგებლო შრომა - 1.6% (336) სასჯელ. მოხდის გადავადება - 0,1 % (11)
მარტი	20 938	პირობითი მსჯავრი- 82.5% (17 268); პატიმრობის შემდეგ საპრობაციო ვადა - 12.7% (2 666); პირობით ვადამდე გათავისუფლება- 2.0% (414); საზ. სასარგებლო შრომა - 1.9% (393) სასჯელ. მოხდის გადავადება - 0,04 % (10)
აპრილი	20 783	პირობითი მსჯავრი- 82.6% (17 177); პატიმრობის შემდეგ საპრობაციო ვადა - 12.1% (2 525) ; პირობით ვადამდე გათავისუფლება- 2.1% (446) ; საზ. სასარგებლო შრომა - 2.1% (437) სასჯელ. მოხდის გადავადება - 0,05% (10)
მაისი	20 731	პირობითი მსჯავრი- 82.6% (17 129); პატიმრობის შემდეგ საპრობაციო ვადა - 12.1% (2 511) ; საზ. სასარგებლო შრომა - 2.2% (461); პირობით ვადამდე გათავისუფლება - 2.2% (447) სასჯელ. მოხდის გადავადება - 0,04 (8)

ივნისი	20 641	პირობითი მსჯავრი- 82.5% (17 019); პატიმრობის შემდეგ საპრობაციო ვადა - 12.0% (2 468) ; საზ. სასარგებლო შრომა - 2.4% (492); პირობით ვადამდე გათავისუფლება - 2.3% (482) სასჯელ. მოხდის გადავადება- 0%
ივლისი	20 596	პირობითი მსჯავრი- 82.5% (16 985); პატიმრობის შემდეგ საპრობაციო ვადა - 12.1% (2 501) ; საზ. სასარგებლო შრომა - 2.3% (474); პირობით ვადამდე გათავისუფლება- 2.2% (458) სასჯელ. მოხდის გადავადება - 0,03 % (7)
აგვისტო	20 699	პირობითი მსჯავრი- 83.0% (17 184), პატიმრობის შემდეგ საპრობაციო ვადა - 12.0% (2 491); პირობით ვადამდე გათავისუფლება - 2.1% (433); საზ. სასარგებლო შრომა - 2.0% (404) სასჯელ. მოხდის გადავადება - 0,03 % (7)
სექტემბერი	20 379	პირობითი მსჯავრი- 83.1% (16 935); პატიმრობის შემდეგ საპრობაციო ვადა - 12.1% (2 471); პირობით ვადამდე გათავისუფლება- 2.0% (416); საზ. სასარგებლო შრომა - 1.8% (376) სასჯელ. მოხდის გადავადება - 0,03 % (6)
ოქტომბერი	20 180	პირობითი მსჯავრი - 82.7% (16 680); პატიმრობის შემდეგ საპრობაციო ვადა - 12.4% (2 498) ; პირობით ვადამდე გათავისუფლება - 2.1% (418) ; საზ. სასარგებლო შრომა - 2.0% (395) სასჯელ. მოხდის გადავადება - 0,03 % (6)
ნოემბერი	20 007	პირობითი მსჯავრი - 82.8% (16 557); პატიმრობის შემდეგ საპრობაციო ვადა - 12.4% (2 489) ; პირობით ვადამდე გათავისუფლება- 2.0% (394) ; საზ. სასარგებლო შრომა - 1.9% (378) სასჯელ. მოხდის გადავადება - 0,03 % (6)
დეკემბერი	19 995	პირობითი მსჯავრი - 82.7% (16 543); პატიმრობის შემდეგ საპრობაციო ვადა - 12.4% (2 486) ; პირობით ვადამდე გათავისუფლება - 1.9% (387) ; საზ. სასარგებლო შრომა - 1.9% (385) სასჯელ. მოხდის გადავადება - 0,03 % (6)

2021	პრობაციოში აღრიცხული მსჯავრდებულები	შეფარდებულ არასაპატიმრო სასჯელთა და პრობაციის განაწილება
იანვარი	19 717	პირობითი მსჯავრი - 82.9% (16 344); პატიმრობის შემდეგ საპრობაციო ვადა - 12.5% (2 455) ; საზ. სასარგებლო შრომა- 1.9% (378); პირობით ვადამდე გათავისუფლება - 1.8% (352) სასჯელ. მოხდის გადავადება – 0,03 (6)
თებერვალი	17 752	პირობითი მსჯავრი - 82.4% (14 622); პატიმრობის შემდეგ საპრობაციო ვადა - 13.2% (2 339) ; საზ. სასარგებლო შრომა - 1.8% (320); პირობით ვადამდე გათავისუფლება - 1.6% (287) სასჯელ. მოხდის გადავადება– 0,005% (2%)
მარტი	17 220	პირობითი მსჯავრი - 82.1% (14 130); პატიმრობის შემდეგ საპრობაციო ვადა - 13.1% (2

		263) ; საზ. სასარგებლო შრომა - 2.0% (347); პირობით ვადამდე გათავისუფლება - 1.7% (301) სასჯელ. მოხდის გადავადება - 0,005% (1)
აპრილი	17 052	პირობითი მსჯავრი - 82.0% (13 979); პატიმრობის შემდეგ საპრობაციო ვადა - 12.9% (2 197) ; საზ. სასარგებლო შრომა - 2.2% (376); პირობით ვადამდე გათავისუფლება- 1.9% (324) Suspended sentence - 0, 005 %(1)
მაისი	17 105	პირობითი მსჯავრი -82.0% (14 030); პატიმრობის შემდეგ საპრობაციო ვადა- 12.7% (2 165) ; საზ. სასარგებლო შრომა - 2.4% (406) ; პირობით ვადამდე გათავისუფლება- 1.9% (317) სასჯელ. მოხდის გადავადება – 0,03 %(5)
ივნისი	17 295	პირობითი მსჯავრი - 82.3% (14 234); პატიმრობის შემდეგ საპრობაციო ვადა- 12.7% (2 204) ; საზ. სასარგებლო შრომა - 2.1% (365); პირობით ვადამდე გათავისუფლება - 1.7% (290) სასჯელ. მოხდის გადავადება - 1 (0,2 %)

ცხრილი 3. უმუშევართა წილი მსჯავრდებულთა შორის – 2020 – 2021 (ივნისი)

2020	მსჯავრდებულ პირთა რაოდენობა	მათ შორის უმუშევარი
იანვარი	1138	923 (81,1%)
თებერვალი	1455	1189 (81,7%)
მარტი	810	647 (79,9%)
აპრილი	810	367 (85,0%)
მაისი	869	722 (83,1%)
ივნისი	1350	1094 (81,0%)
ივლისი	1676	1354 (80,8%)
აგვისტო	830	686 (82,7%)
სექტემბერი	1201	950 (79,1%)
ოქტომბერი	1086	900 (82,9%)
ნოემბერი	930	760 (81,7%)
დეკემბერი	1074	884 (82,3%)
<b>2021</b>		
იანვარი	462	396 (85,7%)
თებერვალი	1060	888 (83,8%)
მარტი	1293	1081 (83,6%)
აპრილი	1390	1149 (82,7%)
მაისი	1072	881 (82,2%)
ივნისი	1688	1332 (78,9%)

ცხრილი 4. 2021 წელს ამნისტირებულთა რაოდენობა

2021 წელს (პირველი ნახევარი) ამნისტირებულ პირთა რაოდენობა	
იანვარი	147
თებერვალი	76
მარტი	13
აპრილი	9
მაისი	2
ივნისი	5
ივლისი	2
სულ	254

**პრობაციის ოფიცერთა დატვირთვა 2020 წელს  
(საქმეების რაოდენობა თითოეულ პრობაციის ოფიცერზე საქართველოს რეგიონებში)**

2020	ოფიცერთა რაოდენობა/თითოეულ ოფიცერზე საქმეთა საშუალო რაოდენობა საქართველოს რეგიონებში										მთლიანი საშუალო ქვეყნის მასშტაბით
	თბილისი	შიდა ქართ	მცხეთა მთიანეთი	ქვემო ქართ	კახეთი	სამცხე ჯავახეთი	იმერ	სამეგრ. ზემო-სვანეთი	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	აჭარა	
	40	8	5	13	10	7	17	13	3	16	132
იანვარი	206	133	83	146	134	70	146	182	48	139	157
	39	8	5	14	11	7	20	13	3	16	136
თებერვალი	211	133	84	137	134	70	123	186	50	139	152
მარტი	211	136	86	139	124	70	125	188	51	144	154
	39	8	5	12	11	7	20	13	3	16	134
აპრილი	209	134	85	160	122	67	124	188	50	145	155
მაისი	208	133	87	160	119	67	126	189	50	144	155
	37	8	5	12	11	7	20	13	2	16	131
ივნისი	217	131	84	159	118	64	126	191	78	144	158
	36	8	5	12	11	7	20	13	2	16	131
ივლისი	220	133	85	159	120	68	124	197	77	142	158
	36	8	5	12	11	7	20	12	2	16	129
აგვისტო	220	133	86	160	119	69	126	214	74	147	160
სექტემბერი	218	138	81	157	116	66	121	214	70	142	158
	38	8	5	12	11	7	20	12	2	16	131
ოქტომბერი	204	137	83	154	114	68	119	211	69	143	154
	38	8	5	12	11	7	20	12	3	16	132
ნოემბერი	200	138	82	154	115	67	120	208	48	140	152
	38	8	5	13	11	7	20	13	3	16	134
დეკემბერი	200	140	81	140	116	68	119	193	49	140	149

შენიშვნა: შეფერილ უჯრებში მოცემულია ოფიცერთა რაოდენობა თითოეულ რეგიონში

საქმეების რაოდენობა პრობაციის ოფიცერზე 2021 წელს

	თბილისი	შიდა ქართ	მცხეთა-მთიან	ქვემო ქართ	კახეთი	სამცხ-ჯავახ	იმერეთ	სამეგრ-ზემო სვანეთი	რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	აჭარა-გურია	მთლიანი საშუალო ქვეყნის მასშტაბით
	38	8	5	13	11	7	20	13	3	16	134
იან	195	133	79	142	114	66	119	194	51	140	147
	35	8	5	13	11	7	20	13	3	16	131
თებ	183	121	73	135	107	62	111	176	39	127	136
	34	8	5	13	11	7	20	13	3	16	130
მარ	185	118	71	134	107	63	106	165	39	118	132
	34	8	5	13	11	7	19	13	3	16	129
აპრ	182	119	71	131	104	64	114	164	38	116	132
მაი	181	121	73	131	104	67	114	167	38	117	133
ივნ	181	126	76	131	103	69	116	169	39	128	135